პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 45-ე წელი. № 118 (13239) | პარასკევი, 21 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## უპატაკებენ

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბექაურმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ელბაქიძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა გუშინ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით გაანაღდეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 6.837 ჰექტარი ნაცვლად 6.556 ჰექტარისა. აქედან სიმინდი სამარცვლედ ნაცვლად 1.630 ჰექტარისა დაითესა 1.650 ჰექტარი, კარტოფილი — 630 ჰექტარის ნაცვლად 690 ჰექტარი.

ამბროლაურის რაიონის მშრომელებმა, — აცნობა რედაქციას საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბიბილაშვილმა, — 18 მაისისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. მათ შორის სამარცვლედ სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. [illegible] ბუნაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. კუციამ, — აბაშელმა მხვნელ-მთესველებმა 15 მაისისათვის გადაჭარბებით შესრულეს სიმინდის თესვის გეგმა. სამარცვლედ დაითესა 8.044 ჰექტარი ნაცვლად 8.040 ჰექტარისა. გარდა ამისა, სასილოსედ დაითესა 840 ჰექტარი.

სიმინდის თესვა გრძელდება.

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ [illegible] რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 1[illegible] შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დაითესა 1.600 ჰექტარი.

შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ოთხ თვეში თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ საწარმოო გეგმა 104,4 პროცენტით შეასრულა. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 19 ათასი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით 27 ათასი მანეთის პროდუქცია მიიღო.



სურათზე: მოსკოვი დღეს. მოედანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# დიდება მშობლიურ მოსკოვს!

## მოსკოვის საქალაქო საბჭოს სესია

როგორც დიდ, სასიხარულო დღესასწაულზე, ისე [illegible]

შესახებ მოხსენება გააკეთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. თ. პრომისლოვმა. სამშობლოს ჯილდო, თქვა მან, ჩვენ მიგვაჩნია გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების საერთო საქმეში დედაქალაქის მშრომელთა დიდი წვლილის მაღალ შეფასებად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ. ეს იმათი ჯილდოც არის, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვების ნათელ დღეს, ვინც სიცოცხლე შესწირა მშობლიური მოსკოვის დაცვას.

ყველა დამსწრემ წუთიერი დუმილით სცა პატივი მათს ნათელ ხსოვნას.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, თქვა შემდეგ ვ. თ. პრომისლოვმა, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობის, უძლეველი სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაფიო დადასტურება იყო. საბჭოთა არმიის რიგებში მოსკოვმა გაგზავნა ასეულ ათასობით თავისი შვილი, მოქმედ არმიაში წავიდა მოსკოველ კომუნისტთა ნახევარზე მეტი. მოსკოველები, რომლებიც მუშაობდნენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ფრონტისპირა ქალაქის პირობებში, ყველაფერს აკეთებდნენ საშიშ და ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედაქალაქში მთელი მუშაობის სული და გული და დაუცხრომელი ორგანიზატორი იყო მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია. უდიდესი სამუშაო დააწვა მხრებზე დედაქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს.

ჰიტლერს სურდა მოესპო მოსკოვი და მისი მოსახლეობა, მიწასთან გაესწორებინა ჩვენი დედაქალაქი. მაგრამ ამ ბოროტ გეგმებს შესრულება არ ეწერა. მოსკოვის ოლქის ველებზე საყვარელი დედაქალაქის დასაცავად მტერს ებრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები. მოსკოვის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ თავიანთი ძმების უდიდეს დახმარებას, რომლებიც ურალიდან, ვოლგისპირეთიდან, ციმბირიდან, შუა აზიიდან, ამიერკავკასიიდან და შორეული აღმოსავლეთიდან განუწყვეტლივ გზავნიდნენ დედაქალაქში იარაღს, საომარ მასალასა და სურსათს. მოსკოვისათვის გმირი ქალაქის საპატიო წოდების მინიჭება ბევრს ავალებს ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს. იგი მოგვიწოდებს ახალი წარმატებებისათვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. თვითეულმა მოსკოველმა, თქვა დასასრულ ვ. თ. პრომისლოვმა, უნდა განსაზღვროს და დაიკავოს ღირსეული ადგილი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში იმასთან დაკავშირებით, რომ დედაქალაქს მიენიჭა გმირი ქალაქის წოდება. პირობას ვაძლევთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ მოსკოველები კვლავაც გაამრავლებენ თავიანთ საბრძოლო ტრადიციებს, გმირი ქალაქის შრომით დიდებას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ამ საზეიმო სხდომაზე დღეს იმისათვის შევიკრიბეთ, თქვა მან, რომ პატივი გვეცა საბჭოთა ადამიანების გმირობისა და მამაცობისათვის, რომლებმაც ბრძოლებსა და შრომაში ასახელეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით ა. ნ. კოსიგინმა მხურვალედ მიულოცა დედაქალაქის მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხს მოსკოვისათვის „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდების მინიჭება. მან გულითადად მიულოცა სტუმრებს — იმ სახელოვანი გმირი ქალაქების წარმომადგენლებს, რომელთა დამცველებმა უმაგალითო მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში.

აღვნიშნავთ რა ჩვენი სახელოვანი მოსკოვის დამსახურებას, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხალხის დამსახურებას. ომის მკაცრ წლებში მოსკოვი განასახიერებდა მთელ ჩვენს ქვეყანას, რომელიც აღდგა წმიდათა-წმიდა ომისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ. დიდ ბრძოლაში მოსკოვთან მხარდამხარ თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების წარმომადგენლები. მათ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი არ შეეშვათ მტერი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, ვინაიდან მოსკოვი დროშაა მილიონობით მშრომელთა ბრძოლისა უკეთესი მომავლისათვის, მოსკოვი ყოველივე მოწინავის სიმბოლოა, ხალხთა მეგობრობის სიმბოლოა, სოციალიზმის სიმბოლოა.

მოსკოვთან გამარჯვებით დაიწყო გარდატეხა ომში. მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ომის მთელ მსვლელობაზე. ყოველი საბჭოთა ადამიანი ამ გამარჯვებას შეხვდა როგორც უდიდეს შემსუბუქებას, როგორც მოვლენას, რომელმაც გააძლიერა ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება საბოლოოდ გაენადგურებინა ფაშიზმი. მოსკოვის გმირული დაცვა განამტკიცებდა ევროპის ქვეყნების პატრიოტთა რწმენას, რომ გარდუვალად დადგებოდა განთავისუფლების ჟამი. იმ ფაქტს, რომ მოსკოვმა ღირსეულად გაუძლო მძიმე განსაცდელს და არა მარტო გაუძლო მტრის შემოტევას, არამედ ჰიტლერელთა არმიებს პირველი სერიოზული დამარცხებაც აგემა ომის მსვლელობაში, მთელი მსოფლიო შეხვდა როგორც პროგრესულ ძალთა საერთო გამარჯვებას ფაშიზმზე. მოსკოვთან გამარჯვებამ მორალურად გაამხნევა ბევრი ქვეყნის ხალხები, გააძლიერა წინააღმდეგობის მოძრაობა ოკუპირებულ ქვეყნებში. მოსკოვთან გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია აგრესორის დამარცხება. ამან დიდი როლი შეასრულა ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებაში. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა.

ომის წლებში მოსკოვი იყო ჩვენი ქვეყნის საბრძოლო შტაბი. მოსკოვიდან ხელმძღვანელობდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ყველა მოქმედებას ჰიტლერელთა ურდოების მოსასპობად. აქედან წარმართავდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობას ფრონტზე და ზურგში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უმაგალითო მასობრივი გმირობა გამოიჩინეს მოსკოველებმა. ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით ათეულ ათასობით კაცი ნებაყოფლობით შევიდა სახალხო ლაშქარში, მამაცურად ებრძოდა მტერს, გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა. თავს ვხრით ჩვენი დედაქალაქისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირების ხსოვნის წინაშე.

მოსკოველებმა შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და შეასრულეს იგი არა მარტო მაშინ, როცა ფრონტზე მძიმე მდგომარეობა იყო. მოსკოვის მუშათა კლასმა, რომელსაც დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა, უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა არმიას. ჩვენი დედაქალაქის მუშების, ინჟინრების, პარტიული და სამეურნეო მუშაკების საქმიანობა ნამდვილი გმირობაა.

როცა მოსკოვის დამცველებზე ვლაპარაკობთ, ყველაზე გულთბილი და კეთილი სიტყვებით უნდა ვახსენოთ ჩვენი ქალები. ფასდაუდებელია მათი წვლილი გამარჯვების საქმეში. მადლობითა და სიამაყით ვიხსენებთ მოსკოველი ახალგაზრდობის სახელოვან საქმეებს. მოსკოველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების კეთილშობილური საქმენი სამუდამოდ ნათელი მაგალითი იქნება მოზარდი თაობისათვის.

სოციალისტური მოსკოვის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მოსკოვის სახელოვან პარტიულ ორგანიზაციას, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან რაზმს. მოსკოვის კომუნისტები ყოველთვის პირველ რიგებში იყვნენ პარტიის ხაზის სიწმინდისათვის ბრძოლაში, აქტიურად იბრძოდნენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა აეცდინეთ ლენინური გზიდან.

მოსკოველებს თავიანთი შრომით დიდი წვლილი შეაქვთ კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო-სახალხო საქმეში. დღევანდელი მოსკოვი ყველაზე პროგრესული იდეების სამყარო, შრომის სამყარო, მოწინავე მეცნიერების, მაღალი კულტურისა და სოციალისტური ხელოვნების სამყაროა.

აღვნიშნავთ რა მოსკოველთა დამსახურებას, უნდა ვთქვათ, რომ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, არ შეიძლება მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. საპატიო წოდება ბევრ რამეს გვავალებს. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებაში ლაპარაკი იყო იმ ამოცანებზე, რომლებიც მოსკოველთა წინაშე დგას. მოსკოვს ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა ამ დიდი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. საბჭოთა დედაქალაქი ყოველმხრივ სანიმუშო ქალაქი, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესის ცენტრი უნდა იყოს. მოსკოვის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მისი საწარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური ხელახლა აღჭურვა, რათა ამ გზით უზრუნველვყოთ სამრეწველო წარმოების შემდგომი ზრდა და მთელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. მოსკოვის მრეწველობა ტექნიკურად მოწინავე უნდა იყოს, სისტემატურად უნდა წარმოებდეს ახალი მოწყობილობით მისი აღჭურვა, რეკონსტრუქცია, რათა აქ, მოსკოვში, გვქონდეს მრეწველობა, სადაც შრომის ყველაზე მაღალი ნაყოფიერება იქნება.

ახლა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანა ის არის, რომ მთელი ჩვენი მრეწველობა, ჩვენი ეკონომიკა წინ მიდიოდეს მსოფლიო ტექნიკური პროგრესის საუკეთესო მიღწევათა დონეზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსკოვის განვითარებას. ყველას გვინდა, რომ ჩვენი დედაქალაქი ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი იყოს.

მოსკოვი მშვიდობის მედროშეა. აქ, ჩვენს დედაქალაქში, სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის წარმომადგენლები პოულობენ საერთო ენას, რათა განიხილონ მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლის საკითხები. მოსკოვი გულღიად ხვდება ყველას, ვინც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის იმის სურვილით, რომ განამტკიცოს მშვიდობა, საერთაშორისო თანამშრომლობა, განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა. იმათ კი, ვისაც გულში კვლავ ცუდი ზრახვები აქვს, ვურჩევთ არ დაივიწყონ ისტორიის გაკვეთილები. ომსა და ჩვენს მიერ მოპოვებულ გამარჯვებაზე დღეს იმიტომ ვლაპარაკობთ და მათ იმიტომ ვიხსენებთ, რომ მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზაცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა ადამიანებმა მომავალში არასდროს არ ნახონ ის უბედურება, რაც მათ შეიძლება ომმა მოუტანოს.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ პარტია და მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ დედაქალაქის განვითარების სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვანი საკითხებისადმი. ეჭვი არ არის, რომ მოსკოველები თავიანთი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაამართლებენ მათი მშობლიური ქალაქისათვის აღმოჩენილ მაღალ პატივს.

ა. ნ. კოსიგინის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატებს გულთბილად მიესალმნენ და მიულოცეს გმირი ქალაქების — ლენინგრადის, ვოლგოგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის, გმირი ციხე-სიმაგრე ბრესტის დელეგაციათა მეთაურებმა. მოსკოველებს მიულოცეს სვერდლოვსკისა და ნოვოსიბირსკის დელეგაციათა მეთაურებმა. სესიაზე გამოვიდნენ აგრეთვე მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატები.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ თვითეული მოსკოველი ვალდებულია მაგალითს იძლეოდეს შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში, ყოველმხრივ ასრულებდეს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მაღალ პრინციპებს. მოსკოვის საბჭომ მოუწოდა გმირი ქალაქის ყველა მცხოვრებს პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად მთელი თავიანთი ძალა, ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოახმარონ იმ ისტორიული ამოცანების შესრულების საქმეს, რომლებიც დასახეს სკკპ XXII ყრილობამ, კომუნისტური პარტიის პროგრამამ.

სესიამ დიდი აღმავლობით გაუგზავნა მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ბუდაპეშტში ჩავიდა

ბუდაპეშტი, 20 მაისი. (საკდესი). ბუდაპეშტის საერთაშორისო ბაზრობაში მონაწილეობისათვის დღეს უნგრეთის დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის მეთაურობით.

ფერიხედის აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იენე ფოკი, მეტალურგიული და მანქანათსამშენებლო მრეწველობის მინისტრი დიულა ხორგოში, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში გ. ა. დენისოვი და სხვა ოფიციალური პირები.

## ზეიმობენ პიონერები

20 მაისს გრძელდებოდა საქართველოს პიონერთა VIII რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავს. თბილისის სკოლებში, ბაღებსა და პარკებში გაისმოდა მხიარული პიონერული სიმღერები, ბავშვების წკრიალა ხმები.

ამ დღეს ზეიმის მონაწილეთა თანდასწრებით პირველად თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნიდან ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალზე გავიდა ელმავალი „პიონერი“, რომელიც ააგეს ნორჩ ლენინელთა ხელით შეგროვებული ლითონისაგან. ქარხნის ერთ-ერთ საამქროში სულგანაბული უსმენდნენ შეკრების მონაწილენი გალელ ნუნუ შარიას, გუდაუთელ ტანია აქსიონოვას, ზესტაფონელ ავთანდილ მიქაბერიძეს, თბილისელ დალი რატიანსა და სხვებს, რომლებიც შეკრების მონაწილეებს უამბობდნენ თავიანთ საქმეებსა და ამხანაგების საქმეებზე. კარგი სწავლისა და პიონერული მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ქართველ მეგობრებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან მოწვეულმა პიონერებმა.

რესპუბლიკის სკოლებში შექმნილი საბრძოლო დიდების საუკეთესო მუზეუმები წარმოდგენილია გამოფენაზე ოფიცერთა სოლქო სახლში. აქ ანგარიშს აბარებდნენ ისინი, ვინც გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად კრებდნენ საინტერესო მასალებს თავიანთი მამების, ძმების, თანამემამულე გმირების საბრძოლო გზის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში.

შეკრების მონაწილენი იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

საღამოს კი სპორტის სასახლეში გაიმართა საზეიმო პიონერული კონცერტი. რესპუბლიკის პიონერებთან სტუმრად მოვიდნენ ამხანაგები: მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჰანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ძველი ბოლშევიკები, წარმოების საუკეთესო მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, უფროსი კლასების მოსწავლეები.

გაისმის საზეიმო მარშის ხმები და დარბაზში შემოაქვთ რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის დროშა.

შეკრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ე. ჩერქეზია.

სპორტის სასახლეში გაისმის ნორჩ ლენინელთა წკრიალა ხმები. ისინი უმღერიან თავიანთ ბედნიერ ბავშვობას, დიდ ბელადსა და მასწავლებელს ვ. ი. ლენინს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, სიმღერებს მოსდევს ცეკვები, რომლებსაც ასრულებენ ქორეოგრაფიული სასწავლებლების, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები.

შეკრება დახურულად გამოაცხადეს, მაგრამ კიდევ დიდხანს მხიარულობდნენ ბედნიერი ბავშვები. (საქდესი).

## საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით 1965 წლის 12–19 მაისს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი [illegible]

პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ჟენევის 1954 წლის იმ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც ინდოჩინეთს ეხება.

[illegible]

დაიცვან მშვიდობის საქმე და აქტიურად იბრძოლონ საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების ცდების წინააღმდეგ. მათ დიდი შეშფოთება გამოთქვეს ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობის გამო. ორი მთავრობა, აღნიშნულია კომუნიკეში, კვლავ აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. ვიეტნამის [illegible]

## ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ს. იტონი

20 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ამერიკელი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე საირუს იტონი და მისი მეუღლე და საუბარი ჰქონდა მათთან, რომელმაც გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

## ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰისა და დედოფალ უმეირას მომავალი ვიზიტის შესახებ სსრ კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ სთხოვეს მის უდიდებულესობას ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს და მის უდიდებულესობას დედოფალ უმეირას ოფიციალური ვიზიტით ეწვიონ საბჭოთა კავშირს. ეს მოწვევა მადლობით იქნა მიღებული.

მიღწეულია შეთანხმება, რომ მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და დედოფალი უმეირა სსრ კავშირში ჩამოვლენ 1965 წლის 3 აგვისტოს.

## კუბის პარტიული სკოლების დირექტორები საქართველოში

ექვსი დღის მანძილზე საქართველოში იყო კუბის რესპუბლიკის პროვინციების პარტიული სკოლების 10 დირექტორი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ისინი გაეცნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას პარტიული კადრების მომზადების დარგში.

20 მაისს საღამოს პარტიული სკოლების დირექტორები, რომლებსაც მეთაურობდა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი ლუის როდრიგესი, იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ისინი მიიღო ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა.

ლუის როდრიგესმა გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი საქართველოს შესახებ, ილაპარაკა კუბის რევოლუციის წარმატებებზე, სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნებზე, პარტიული სკოლების როლზე კადრების მომზადების საქმეში, იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც რევოლუციურმა პარტიამ დასახა.

კუბელი ამხანაგები დაინტერესდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების სტრუქტურით და მუშაობის გამოცდილებით, ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებით მომავალ ხუთწლედში.

საუბრის დასასრულს, რომელიც გულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ლუის როდრიგესმა განაცხადა:

— ჩვენი საუბრის დასასრულს გვინდა ვთქვათ, რომ ძალიან კმაყოფილი ვართ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში ყოფნით. კუბელ ხალხს მიაჩნია, რომ საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებაში, ლენინურ პარტიაში ხორცი შეისხა დაუცხრომელმა რევოლუციურმა სულისკვეთებამ, მამაცობამ და გმირობამ, რომელიც აღაფრთოვანებს კუბელ ხალხს.

მეტად გულთბილად ილაპარაკა ამხ. როდრიგესმა საქართველოს, ქართველი ხალხის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში კიდევ უფრო ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას.

საუბარს ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი დ. პ. ხოვანსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეები მ. ა. გოგიჩაიშვილი, შ. ე. გაგოშიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ჯ. ნ. ლომაშვილი. (საქდესი).

„კომუნისტი"

# მასების კონტროლით!

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის გვერდი №26

**უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფართო მასები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში, უზრუნველვყოთ კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა, პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სისტემატური კონტროლი. უნდა განვამტკიცოთ დისციპლინა პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე, ავამაღლოთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.—**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან.

## ქართულ ავტომობილს არ უნდა უჭირდეს

[illegible]

...ციურ ჯართს აწოდებდნენ ქარხანას, რის გამო ერთობ გაიზარდა შიგასაქარხნო წუნი. ეს განსაკუთრებით ითქმის რუხი და ჭედადი თუჯის სხმულებზე, კერძოდ, ავტომობილის მთავარი კვანძის — ცილინდრის ბლოკის სხმულებზე, სადაც წუნი 40-45 პროცენტს აღწევდა.

ჩამორჩენის ამ გარეგან მიზეზებს ემატებოდა და ნაწილობრივ ახლაც ემატება შინაგანი, „სუბიექტური მიზეზები", რომელთა გამოსწორება, რა დასამალავია, ჩვენზეა დამოკიდებული. საქმე ეხება ცალკეულ საამქროებში წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დაბალ დონეს, ნაკლოვანებებს საიარაღო და ალჭურვილობის ექსპლოატაციასა და ჩარხების მოვლა-შეკეთების საქმეში.

ახლა შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ეს „ვიწრო ადგილი" სწორდება. გასული წლის ბოლოს ქარხანამ მიიღო 250 ახალი ლითონსაჭრელი ჩარხი, რომელთა დიდი ნაწილი დროულად დავამონტაჟეთ და გადავეცით საექსპლოატაციოდ. გაუმჯობესდა ხარისხოვანი თუჯით, საყალიბო მიწითა და კონდიციური ჯართით სამსხმელო საამქროების უზრუნველყოფა. ქარხნის თბოელექტროცენტრალში მწყობრში ჩადგა 30 ათასი კუბმეტრის წარმადობის შეკუმშული ჰაერის კომპრესორი.

ყოველივემ ამან კეთილისმყოფელი შედეგები გამოიღო.

ქარხანამ დაძლია ჩამორჩენა და ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადამეტებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება.

ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის ჩვენი მთავარი საზრუნავია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან და სახალხო მეურნეობის საბჭოს საპროექტო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან შემოქმედებითი თანამეგობრობით შემუშავებულია და ახლა პრაქტიკულად ხორციელდება მოფიქრებული ღონისძიებები სხმულების წუნის მინიმუმამდე შემცირებისათვის. ამ მიზნით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რუხი თუჯის სამსხმელო საამქროს რეკონსტრუქცია, მისი შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. უკვე დავდგით საყალიბო მიწის მოსამზადებელი ავტომატური რბიები, ვამონტაჟებთ სხმულის ავტომატურ გამომბერტყავებს, ხოლო საამქროს გამწმენდ განყოფილებაში სხმულის ზედაპირის უნაკლოდ გაწმენდისათვის დამატებით ვდგამთ რვატურბინიან საფანტმტყორცნებს. ნაჭედების კარგად, უხადოდ გაწმენდისათვის სამი საფანტმტყორცნელი დანადგარი დაიდგა აგრეთვე სამჭედლო საამქროში.

ბევრი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება ხორციელდება ტვიფრებისა და ნამზადების ზუსტად დამუშავებისათვის, ხარისხის ამაღლებისათვის. საიარაღო-სატვიფრო საამქროში ცხელი ტვიფრე-

[illegible]

...ლობა აქვს საჭრელი და საზომი იარაღების სიზუსტეს. ამ საქმეში კი პირველი სიტყვა მხოლოდ ალმასებს ეკუთვნის. ჩვენთან უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები სინთეზური ალმასების გამოყენებისათვის. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საიარაღო-სატვიფრო საამქროს უფროსის მოადგილე გ. ჯინჯიხაძე. ახლა ცენტრალურ სამღესაოში სალშენადნობიანი საჭრისების ალესვა და დაყვანა სინთეზური ალმასების გამოყენებით წარმოებს.

ქარხნის მთავარი მეტალურგის თ. გენძეხაძის, სამჭედლოს საამქროს უფროსის ჯ. გურგენიძის, ამავე საამქროს უფროსის მოადგილეების ა. წიქორიძისა და ნ. კიკნაძის ინიციატივით დაიწყო საპროექტო სამუშაოები იმისათვის რომ, მთელი რიგი დეტალების ნამზადების გახურება მაზუთის ღუმელებიდან გადაყვანილ იქნას მაღალი სიხშირის დენების ელექტროღუმელებზე. ეს სიახლე კიდევ უფრო წასწევს წინ წარმოების კულტურას, მკვეთრად გააუმჯობესებს ნამზადების ხარისხს.

და მაინც, ყველა ამ ღონისძიების მიუხედავად, ჩვენთან მთელი რიგი დეტალების ხარისხი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს. ზოგიერთი ახალი ჩარხი, განსაკუთრებით პრეციზიული ჩარხები, აგრეთვე აბრაზიული ინსტრუმენტები (სახეხი ქვები, ძელაკები) სასურველი სიზუსტითა და მაღალი წარმადობით არ ხასიათდებიან. ეს კი თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს დამუშავებული დეტალების სიზუსტესა და სისუფთავეზე.

იმის გამო, რომ მეტად გაჭიანურდა ახალი საწნეხ-საძარე საამქროს მშენებლობა, ამჟამად კაბინის წარმოება სრულიად დაუმთავრებელ ფართობზე გვიხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს აღნიშნული კვანძის ხარისხზე. **არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, სათანადო ორგანოებს ჯერ კიდევ არ გამოუყვიათ საჭირო თანხები აღნიშნული საამქროს მშენებლობის წელს დამთავრებისათვის,** რითაც საფრთხე ექმნება კაბინების გამოშვების დავალების შესრულებას.

ჩვენს წინაშე გადაუდებელ ამოცანად რჩება აგრეთვე ის, რომ დროულად დავამთავროთ შეკუმშული ჰაერის ორთქლისა და ელექტროენერგიის მილგაყვანილობის სამუშაოები.

ქარხნის კოლექტივი, რომელმაც „კაზ-608" მარკის ავტომატარებელი შექმნა, ამოცანად ისახავს, რომ ამ ტიპის მანქანებმა კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად გაირბინონ 200 ათასი კილომეტრი.

**ახლა ჩვენთან მიმდინარეობს წარმოების მომზადება ახალი ტიპის გამწე-ავტომანქანის გამოსაშვებად. ამ ახალ მანქანას ორსიჩქარიანი უკანა ხიდი ექნება. ეს კონსტრუქციული თავისებურება, რაც პირველია საბჭოთა კავშირში, დიდად გააუმჯობესებს მანქანის დინამიკურ თვისებებს, გაადიდებს საშუალო სიჩქარეს, შეამცირებს საწვავის ხარჯვას.**

ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად ქარხნის კოლექტივს სათანადო ორგანიზაციებმა, კერძოდ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, დროულად უნდა გაუწიონ საჭირო დახმარება. **დადებითად უნდა გადაწყდეს ის საკითხი, რომ მანქანის წინა ხიდის წარმოება გადატანილ იქნას აბაშის მექანიკურ ქარხანაში, ხოლო უკანა ხიდის კორპუსის ფოლადის სხმულის წარმოება დაეკისროს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას.**

ავტომობილის მთელი რიგი დამაკომპლექტებელი დეტალები და ნაკეთობანი, რომელთა წარმოება ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიძლება, ქარხანას ჯერ კიდევ შორეული კუთხეებიდან შემოაქვს. კარგია, რომ ქუთაისის ქიმიურ ქარხანაში მოეწყო ავტომანქანის ტექნიკური რეზინის წარმოება, რაც კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. **ამასთან დადებითად უნდა გადაწყდეს ქუთაისის მინის ტარის ქარხანაში საავტომობილო მინის, ხოლო რესპუბლიკის რომელიმე ქარხანაში — ავტომანქანის ელექტრომოწყობილობისა და გაყვანილობის წარმოების საკითხი.**

ქართული ავტომობილი სულ უფრო პოპულარული ხდება. მაგრამ მისი ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მოგველის.

**გ. კობალაძე,**
ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი.

## ფხიზელი თვალი

### ხელშემწყობი ჯგუფის პრაქტიკული საქმეები

— მეცხოველეობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. საკვები ბაზის განმტკიცებისათვის სათანადოდ არ ვზრუნავთ. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე დაბალია, ბინები კეთილმოუწყობელია. ამიტომ არის, რომ სულადობა ნელა იზრდება, პირუტყვის პროდუქტიულობა ჯერ კიდევ დაბალია. ზოგიერთი ბრიგადირი თუ მწყემსი დანაშაულს სჩადის, ხელყოფს საზოგადოებრივ დოვლათს.

ასე ამბობდნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში სხდომებსა თუ თათბირებზე.

და აი შარშან ოქტომბერში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა (თავმჯდომარე შ. მურვანიძე) დღის წესრიგში დააყენა პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის კონტროლის გაძლიერების საკითხი. ჯგუფმა დაადგინა მეცხოველეობის ჩამორჩენის მიზეზები და დასახა ღონისძიებანი პირუტყვის სულადობის გადიდებისათვის, პროდუქტიულობის ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გამარჯვების კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორთა ინიციატივა მოიწონა.

კონტროლის ჯგუფი დასახულის განხორციელებას შეუდგა: პირველ რიგში ბინების კეთილმოწყობისათვის იზრუნა. ჯგუფმა დააყენა საკითხი ბინების რემონტისათვის სპეციალური ბრიგადის შექმნის შესახებ. კოლმეურნეობის გამგეობამ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის ფერმების ბინებში დაძველებული კარ-ფანჯრები ახლით შეცვალეს, ბინები დაათბუნეს, გომურებში ზღაეი თუ ჰერი წესრიგში მოიყვანეს, ახალი ბაგები გააკეთეს.

ხელშემწყობმა ჯგუფმა შრომის დისციპლინის საკითხი შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ ფერმაში მწყემსთა ერთი ნაწილი თვეში 10-15 დღეზე მეტს არ მუშაობდა. კოლმეურნეობის გამგეობამ დაადგინა, რომ თუ მწყემსი თვეში 23 დღეზე ნაკლებს დაჰყოფდა ფერმაში, არ მისცემოდა შრომის დამატებითი საზღაური. ამ ღონისძიებამ შრომის დისციპლინა განამტკიცა.

კოლმეურნეობამ უხეში საკვები ბევრი დაამზადა, მაგრამ იგი ფერმებიდან შორს იყო. ეს საკვების განიავებას გამოიწვევდა, ამასთან ზამთარში მისი გადაზიდვა გაძნელდებოდა. კონტროლის ჯგუფმა ამ საქმის მოგვარებაც ითავა მოკლე დროში მთელი უხეში საკვები ფერმებთან მიზიდეს და დაზვინეს. ამასთან დააწესეს საკვების ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა. მწყემსებმა ყაირათიანად დაიწყეს საკვების ხარჯვა.

სიკვდილიანობა რომ თავიდან აეცილებინათ, დაჯანდაგებული პირუტყვი ცალკე მოათავსეს და გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანეს. უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების სრული ულუფა მისცეს. არც მექანიზაციის საკითხი დატოვეს უყურადღებოდ. მეძროხეობის მესამე ბრიგადაში ნაკელის გაზიდვა ხელით ხდებოდა. ახლა ეს სამუშაო მექანიზებულია. საწველი აგრეგატი დაამონტაჟეს და ელექტრომექანიკური წველა დაიწყეს. მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას სათანადო ყურადღება მიექცა. ბინები კეთილმოაწყეს. მეღორეობის ფერმაში დაიდგა ტელევიზორი, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეფრინველეობის ფერმებში — რადიომიმღებები.

ფერმებთან შექმნილი კონტროლიორთა საგუშაგოები აქტიურად, საქმის ცოდნით მოქმედებენ. მათს ფხიზელ თვალს ძნელად თუ გამოეპარება რამე. მეძროხეობის ფერმის პირველი ბრიგადის საგუშაგოდან კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო სიგნალი, რომ ბრიგადირი ა. მენთეშაშვილი პროდუქციას არასწორად აღრიცხავდა, დანაშაულს სჩადიოდა. შემოწმებით დადგინდა, რომ ბრიგადირს 12 კილოგრამი ყველი შემოსავალში არ ჰქონდა გატარებული. კოლმეურნეობის გამგეობამ იმსჯელა და ყალბისმქნელი ბრიგადირი სამუშაოდან მოხსნა. ასეთივე ბედი ეწია მეცხვარეობის ფერმის მეოთხე ბრიგადის ბრიგადირს ლ. ფიროსმანიშვილს, რომელმაც აღრიცხვა ჩამალა და ზედმეტი ცხვრებიც აღმოჩნდა.

საგუშაგოს წევრებმა დანაშაულზე წაასწრეს მეღორეობის ფერმის მეორე ბრიგადის ბრიგადირს რ. პოპიაშვილს, რომელიც ერთი ტონა კომბინირებული საკვების გაყიდვას ცდილობდა.

გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მუშაობა მისასალმებელია. პირუტყვის გამოზამთრებამ უნაკლოდ ჩაიარა, გაიზარდა პროდუქტიულობა, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, მინიმუმამდე შემცირდა სიკვდილიანობა. ამას ციფრები ადასტურებს. შარშან პირველ კვარტალში 224 ცხვარი მოკვდა, წელს 26 სულზე მეტი არ დაჰკლებიათ. ღორის სიკვდილიანობა ოთხჯერ შემცირდა. მიმდინარე წლის სამ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით რძის წარმოება 190 ცენტნერით გაიზარდა, კვერცხის — 64 ათასი ცალით და ა. შ. შარშან სამ თვეში თვითეულ ნეზვზე 2,5 გოჭი გაზარდეს, წელს კი ექვსს გადაამეტეს.

საგულისხმოა, რომ მკვეთრად შემცირდა საკვების ხარჯვა. შარშან პირველ კვარტალში კილოგრამი ღორის ხორცის წარმოებაზე 12 საკვები ერთეული დაიხარჯა, წელს კი —6,4. კილოგრამი რძის წარმოებაზე შარშანდელთან შედარებით წელს 0,4 საკვები ერთეულით ნაკლები დაიხარჯა.

კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი მეურნეობის ყველა დარგს სწვდება. ახლა კონტროლიორები დიდ ყურადღებას აქცევენ ნათესებისა და ვენახების დამუშავებას, სასუქების შენახვა-გამოყენებას, მოსავლის აღებისათვის მზადებას. საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლება და დაცვა საიმედოთა ხელშია.

**სიღნაღის** სარაიონთაშორისო გაზეთი „კოლმეურნე" — „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.



**თბილისის № 8 მექანიკური ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი 36 კაცს აერთიანებს. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში. სურათზე:** ჯგუფის თავმჯდომარე ს. ჯიაძე (მარჯვნივ) და ჯგუფის წევრები, მოწინავე მუშები გ. გვარიძე, ვ. ჩხაიძე, ი. დოლბინიანი ამოწმებენ ავტომანქანების ზეთის გამწმენდი ფილტრების ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## რატომ გაურბიან გამწვანების სამუშაოთა მექანიზაციას?

**ჩვენს** ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება მწვანე ნარგავების ფართობი, შენდება პარკები, ბაღები, სკვერები.

თანამედროვე პარკმშენებლობის მრავალი მაგალითი მოწმობს მათი შესრულების მაღალმხატვრულ და ტექნიკურ დონეს, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს გამწვანების სამუშაოთა წარმოება, გაიზარდოს მისი მოცულობა. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებით, აგროტექნიკის გაუმჯობესებით, ძირითადი სამუშაოების მექანიზაციით და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის გზით.

როგორც ცნობილია, დეკორაციული ხეებისა და ბუჩქების სილამაზე და ემოციურობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილებისა და ფოთლების შეფერილობასა და დაჯგუფებაზე, არამედ ვარდის მხატვრულ ფორმაზე. ამიტომ დეკორაციულ მებაღეობაში შემოღებულია ბუჩქების გასხვლა.

საქართველოს პირობებში ბაღ-პარკებსა და სკვერებში ფართოდ არის გამოყენებული ძვირფასი საბორდიურე — გასხვლა-ფორმირების ამტანი მცენარეები კვიდო, პიტოსპორუმი, იაპონური ყაზყატი, ტუია, დაფნა და სხვ. თითქმის ყველა ამ მცენარისაგან შექმნილია ერთნაირი მართკუთხედური და სფერული ფორმები. ყველა მებაღე დეკორატორი რატომღაც გაურბის ამ მცენარეებისაგან უფრო მიმზიდველი, თანამედროვეობის შესაფერისი ლამაზი ფორმების მიღებას.

ამის მიზეზია გამწვანების ზოგიერთი მუშაკის არასათანადო მომზადება და აღნიშნული სამუშაოს არასრულყოფილი მექანიზაცია.

ჩვენს ბაღებსა და პარკებში მცენარის გასხვლა —ეს მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო ძირითადად ხელით სრულდება — ბორდიურის მაკრატლით.

გარდა ბორდიურის მაკრატლისა, არსებობს მექანიკურძრავიანი მაკრატელი, რომელსაც იშვიათად იყენებენ ჩვენს ბაღებსა და სკვერებში.

სასურველია ძრავიანი მაკრატელი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული მცენარეთა გასხვლა-ფორმირებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს სამუშაო დროულად და ხარისხიანად შევასრულოთ.

გამწვანების აგროტექნიკურ ღონისძიებათა შორის მორწყვის საკითხს ძირითადი ადგილი უჭირავს. ეს სამუშაო ჩვენს პირობებში სარწყავი ვედროებით ან შლანგებით სრულდება, რაც დიდ შრომას მოითხოვს.

არსებობს ყვავილნარებისა და გაზონების ხელოვნური მორწყვის ტელესკოპური დანადგარი, რომელიც ჩვენში ფართოდ არ არის დანერგილი.

ხშირად ბაღ-პარკების მშენებლობისას ერთი ადგილიდან მეორეზე დასარგავად გადააქვთ რამდენიმე წლის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ხეები და ბუჩქები. ამ დროს მცენარის ფესვებს თან მიჰყვება მიწის გარკვეული ნაწილი. არსებობს სპეციალურად დამზადებული ლითონის შესაკრავი ყუთები, რომელთა გამოყენების შედეგად თავიდან იქნება აცილებული ფესვთა სისტემის დაზიანება და ფესვებიდან მიწის მასის მოცილება. ეს კი ხელს უწყობს გადარგული მცენარის უკეთ გახარებას. საჭიროა ასეთი სპეციალური ყუთებით მომარაგდეს სათანადო დაწესებულებები, რათა გავზარდოთ ახლადრგული მცენარეების გახარების პროცენტი.

მცენარეების დასარგავად ორმოების ამოღება მეტად მძიმე სამუშაოა. აღნიშნული სამუშაოს გასაადვილებლად არსებობს ოდესის ქარხნის მიერ შექმნილი ბურღი, რომელიც გათვალისწინებულია ტრაქტორზე სამუშაოდ. მას აქვს საცვლელი ბურღები, დიამეტრით 30, 60, 80 და 100 სანტიმეტრი, ორმოს მაქსიმალური სიღრმე 100 სანტიმეტრს აღწევს, წარმადობა კი 55-60 ორმოს საათში. აგრეგატს ემსახურება ერთი კაცი.

ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად გაზრდიდა ასეთი მანქანის დანერგვა შრომის ნაყოფიერებას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პალპარკებში გაზონების მოთიბვის საქმეს. გაზონი წარმოადგენს ყოველგვარი მხატვრული კომპოზიციის ფონს, ამიტომ საჭიროა ის მუდამ მაღალმხატვრულად იყოს გაფორმებული. ჩვენში გაზონების გასხვლა ცელით ან დუქარდით ხდება. არსებობს სპეციალური მექანიკურძრავიანი სათიბი მანქანა, რომელიც მიიღო ზოგიერთმა მაღაზიამ, მაგრამ პრაქტიკაში რატომღაც არავის გამოუყენებია.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვა საშუალებას მისცემს გამწვანების დარგის მუშაკებს დროულად და ხარისხიანად შეასრულონ დავალებები და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

**ბ. შუკაკიძე,**
აგრონომ-დეკორატორი.

## გამოცდილება კონტროლში!

**სახალხო** კონტროლიორთა მოღვაწეობის ამსახველმა მასალებმა მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის" ფურცლებზე. გაზეთის მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თემატური გვერდები, რომლებიც ყურადღებას ერთ-ერთ რომელიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებენ.

**„საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლა ყველას და თვითეულის საქმეა"** — ასეთია დევიზი სპეციალური გვერდისა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარის მ. მურვანიძის, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსის, ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროს თავმჯდომარის ვ. დეგტიარევის, აჭარის ასსრ მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კონტროლის ინსპექციის უფროსის გ. ქიქავას წერილებს, აქვეა მობინადრეთა წერილი, რუბრიკები: „შეფასებას აძლევს მომხმარებელი", „ჩვენი გამოსვლების კვალდაკვალ", წერილების მიმოხილვა, აგრეთვე ფოტობრალდება, კარიკატურა და სხვ.

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე მ. მურვანიძე თავის წერილში აღნიშნავს, რომ ხელშემწყობი ჯგუფის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. გასული წლის სექტემბერში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიურომ შეისწავლა და განიხილა სარატოვის საწარმოთა მაგალითისამებრ პროდუქციის უდეფექტო წარმოებისა და პირველი წარდგენისთანავე ტექნიკური კონტროლისათვის მისი გადაცემის ორგანიზაციის საკითხი.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ბიუროს გადაწყვეტილებით თანამოსაქმე საწარმოთა გამოცდილების შესასწავლად და განსაზოგადებლად, პროდუქციის უდეფექტო წარმოების ახალი სისტემის წარმოებაში დასანერგავად საწარმოში შეიქმნა ჯგუფი ქარხნის მთავარი ინჟინრის გ. პეიშვილის ხელმძღვანელობით.

გასული წლის ნოემბერში ახალი სისტემის დანერგვის გამოცდილების გასაზიარებლად სარატოვის საწარმოებში იყო ქარხნის მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ბ. შირანიანი ხელმძღვანელობდა.

ქარხნის მუშაკთა მივლინებისა და ჯგუფის მასალების საფუძველზე მექანიკური საამქროს სახარატო უბანი 1964 წლის 1 ნოემბრიდან გადაყვანილ იქნა უდეფექტო პროდუქციის გამოშვებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებისათვის მისი პირველი წარდგენისთანავე გადაცემის ახალ სისტემაზე.

ახლა მექანიკური საამქროს ცხრა ხარატს უფლება აქვს თავისი პროდუქცია საკუთარი დამღის დასმით ტექნიკური კონტროლის განყოფილების შეუმოწმებლად პირდაპირ ჩააბაროს საწყობს. ამ სიახლის დანერგვამ საწარმოს უკვე მისცა თავისი ნაყოფი: მექანიკურ საამქროში მკვეთრად შემცირდა წუნი, გაიზარდა დეტალებისა და კვანძების პირველი წარდგენისთანავე ჩაბარება. ამ ძვირფას წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ სხვა საამქროების, უბნებისა და განყოფილებების კოლექტივები.

„დაწუნებული „პრიბორი"" და „მანქანები, რომლებიც არ მუშაობენ" — ასეთი სათაურები აქვს მომხმარებელთა შენიშვნებს, რომლებშიც სერიოზული პრეტენზიებია გამოთქმული."

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს კოლექტივების თაოსნობის საპასუხოდ, საბჭოთა პროდუქციის მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების დონეზე აყვანისათვის ბრძოლა **ყველას და თვითეულის საქმეა**, ამიტომ სწორად იქცევა „საბჭოთა აჭარის" რედაქცია, გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად რომ აქვეყნებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ამსახველ მასალებს.

## მეჩაიეთა გულისტკივილი

**შარშან** ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 750 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 100 ტონაზე მეტი უხეში და მოუხეში ფოთოლი და 100 ტონამდე საკოფეანე მასალა. 1965 წელს კი მეჩაიეები მოკრეფენ 800 ტონამდე ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

მაგრამ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეჩაიეთა გულისტკივილზეც. ეს საყვედური მიმართულია მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი. მათ დღემდე ვერ აითვისეს მოქნილი, მსუბუქი და ჩასაცმელად ვარგისი ჩექმებისა და სპეციალური წარვალ-კოსტიუმების დამზადება, უამისოდ კი ძალიან ძნელია წვიმიან ამინდში მუშაობა.

ვფიქრობთ, ამ სამართლიან საყვედურს ჩაუფიქრდებიან სათანადო ორგანიზაციები და მოაგვარებენ აღნიშნულ საკითხს.

**ე. ებანოიძე** — ხობის რაიონის საჯიჯაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ხ. სერგია** — პარტბიუროს მდივანი; **ქს. კეკელიშვილი** — ნოვატორი მეჩაიე; **თ. ოკუჯავა** — მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „მკითხველის წერილი მხატვრის კომენტარით"

**სპეციალურ** გვერდში „მასების კონტროლით!" დაბეჭდილი წერილი შეეხებოდა აკეთ-ძიმითის გზის კეთილმოწყობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. წერილთან დაკავშირებით ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ებრალიძე რედაქციას სწერს:

ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომმა შეამოწმა კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტების სისწორე. მართლაც, აკეთ-ძიმითის გზის დიდი ნაწილი დაზიანებულია, წარმოშობილია ორმოები, რაც ართულებს ტრანსპორტის მოძრაობას. აღნიშნული გზის ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენი რაიონის ქვემო აკეთის ტერიტორიაზე გადის, ამჟამად სრულ წესრიგშია მოყვანილი.

აღნიშნულ წერილზე პასუხი გვაცნობა აგრეთვე მახარაძის რაიონის ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ს. მუხაშავრიამ, სოფელ აკეთის მიმართულებით, გვწერს იგი 1964 წლის აგვისტოში დაიწყო გზის მშენებლობა 2 კილომეტრ მანძილზე მისი მთლიანი რეკონსტრუქციით. ამ გზაზე საწერის ღელეზე დაიწყო ახალი კაპიტალური ხიდის აგება, რომლის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წელს. გაზეთში გამოქვეყნებული წერილი განიხილა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომამ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საბჭოთა მეურნეობა და კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი

## ჩვენი ხელშემწყობი ჯგუფი დოვლათის საგუშაგოზე

**ადიგენის** მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. მეურნეობის შემოსავლის თითქმის ორი მესამედი სწორედ მეცხოველეობაზე მოდის.

აქ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოდის 45,2 სული მსხვილფეხა პირუტყვი. აქვთ მეცხოველეობის სამი ფერმა, ჰყავთ 1.960 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 500 სული საფურაქე ძროხა.

მეცხოველეებმა გასული სამეურნეო წელი არცთუ ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველეს 1.472 კილოგრამი რძე. სახელმწიფოს მიჰყიდეს 773 ცენტნერი ხორცი და 6.281 ცენტნერი რძე, რითაც დიდი გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

მაგრამ მეცხოველეთა მუშაობაში იყო გარკვეული ნაკლოვანებებიც, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია რძისა და ხორცის წარმოებაზე, პროდუქციის თვითღირებულებაზე.

მეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა ამოცანად დაისახა შეესწავლა, თუ რატომ უჯდებოდა ძვირად მეურნეობას პროდუქტები, რა იყო წარმოების ხელშემშლელი კონკრეტული მიზეზები. კონტროლის საგუშაგოების აქტიური მუშაობით ბევრი ხელშემშლელი მიზეზი გამოვლინდა და აღმოიფხვრა.

ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს ფარეხის მეძროხეობის ფერმის კონტროლის საგუშაგომ ქ. ცინცაძის ინიციატივით მოგვცა სიგნალი, რომ ფერმაში ცუდად მიმდინარეობდა პირუტყვის გამოზამთრება, დაბალი იყო წველადობა. ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ხელშემწყობმა ჯგუფმა და განსახილველად გაიტანა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე.

ფერმის მმართველი მ. ავეტისიანი უხეირო მუშაობისათვის სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნა. მის ნაცვლად ფერმას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სპეციალისტი ა. აზიკაშვილი, მაგრამ არც ამით გამოსწორებულა მდგომარეობა მთლიანად, ვინაიდან ფერმაში ჯერ კიდევ იყვნენ არაკეთილსინდისიერი მწველავები (ნ. სუხოვეევა, კ. მელქონიანი, ა. თომასიანი), რომლებიც თვითეულ საფურაქე ძროხაზე ფაქტიურად ცოტა რძეს იღებდნენ, მაგრამ ხელოვნურად ზრდიდნენ წველადობას. ისინი ატყუებდნენ მეურნეობის ხელმძღვანელობას, არცხვენდნენ პატიოსან მშრომელთა სახელს.

ამ საკითხს ერთხელ კიდევ დაუბრუნდა პარტბიურო და ისიც საგანგებო მსჯელობის საგანი გახადა. ყალბისმქნელთა ნაცვლად ფერმაში მწველავებად გაიგზავნენ საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგული ადამიანები ე. ღვინიაშვილი, შ. ლიპარიშვილი, გ. პაპიკიანი, მ. თომასიანი და სხვები.

ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო, ფერმაში მდგომარეობა გამოსწორდა, წველადობამ იმატა.

კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ინიციატივით პარტბიუროს ერთ-ერთმა სხდომამ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რატომ არ მუშაობდა ელექტროსაწველი აგრეგატი და რძის პასტერიზატორი. გამოირკვა, რომ ამის მიზეზი იყო სპეციალისტის უყოლობა. ამის შემდეგ სულ მალე გამოინახა სპეციალისტი, რომელიც წარმატებით ამუშავებს ელექტროსაწველ აგრეგატს და რძის პასტერიზატორს.

ფერმაში დაიდგა და ამუშავდა აგრეთვე საკვების გადამმუშავებელი დანადგარი, რომლითაც ღერღავენ სიმინდის ტაროს, ძირხვენებს. ეს, ცხადია, გაზრდის რძის წარმოებას და გააიაფებს მას.

კონტროლის საგუშაგოს წევრები სისტემატურად ამოწმებენ ფერმის ყოველ უბანს და საქმიან დახმარებას უწევენ მეცხოველეებს. მათი ინიციატივით წახნის მეძროხეობის ფერმაში გაგზავნილ იქნენ კომკავშირელი ახალგაზრდები ხ. იაშვილი, მ. ჯიშკარიანი, პ. მაცუკაძე. ამ და სხვა ღონისძიებებს კი ის შედეგი მოჰყვა, რომ ამჟამად ფერმაში ყოველდღიურად 100-130 კილოგრამით მეტ რძეს წველიან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ვარხნის მეძროხეობის ფერმამ, სადაც მე მმართველად ვმუშაობ, შარშან გადამეტებით შეასრულა ხორცისა და რძის წარმოების გეგმები. წელს უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. 1 მაისისათვის ერთ საფურაქე ძროხაზე მოვწველეთ 700 კილოგრამი რძე, რაც თითქმის 300 კილოგრამით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს.

ეს წარმატება კონტროლის საგუშაგოს წევრების ს. მინაძის, დ. ნატრიაშვილის და ვ. დემეტრაძის კარგი მუშაობის შედეგიც არის. გარდა იმისა, რომ მათ კონტროლი აქვთ დაწესებული წველადობაზე, კარგი მუშაობის მაგალითსაც იძლევიან. ს. მინაძემ შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე გეგმის გადამეტებით 400 კილოგრამი რძე მიიღო და ნამატი მთლიანად შეინარჩუნა, რისთვისაც 260 მანეთზე მეტი პრემიალური ანაზღაურება ერგო.

როგორც ცნობილია, მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველია მტკიცე საკვები ბაზა. მაგრამ 1963 წელს ცუდი კლიმატური პირობებისა და მუშაკთა დაუდევრობის შედეგად მეურნეობაში დაბალი ხარისხის თივა დამზადდა. საკმარისი რაოდენობით არ გვქონდა სილოსიც, რის გამო ჩამორჩა ხორცისა და რძის წარმოება. მოგვიხდა დიდძალი კომბინირებული საკვების შემოზიდვა, რამაც საგრძნობლად გაზარდა პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენ გავითვალისწინეთ წინა წლის ეს მწარე გაკვეთილი და შარშან მეურნეობაში დავამზადეთ 2.382 ტონა მაღალხარისხოვანი თივა, ნაცვლად 701 ტონისა. მიუხედავად იმისა, რომ სასილოსე სიმინდი ჩაადრევმა ყინვებმა მოყინა და სილოსი საკმაო რაოდენობით ვერ დავამზადეთ, პირუტყვი მაინც კარგად გამოვაზამთრეთ. საკვები ბაზის განმტკიცებამ და პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაძლიერებამ საშუალება მოგვცა მიმდინარე წლის ოთხ თვეში მნიშვნელოვნად გაგვეზარდა წველადობა, დიდი გადამეტებით შეგვესრულებინა სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი.

სადავო არ არის, რომ უსილოსოდ ძნელია რძის წარმოების მკვეთრ გადიდებაზე ლაპარაკი. ჩვენთან სარწყავი მიწების ნაკლებობის გამო სასილოსე კულტურები ურწყავ ფართობზე ითესება. ურწყავი მიწები კი ცოტა სასილოსე მასას იძლევა. დროა საქმიანად ვიზრუნოთ მეურნეობის მიწების გასარწყავებზე.

წელს ახალციხის რაიონის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველომ ადიგენის მეურნეობის ტერიტორიაზე სოფელ შორაველში უნდა დადგას წყალსაქაჩავი, რომელიც 120 ჰექტარზე მეტ ფართობს გაასარწყავებს, მაგრამ ეს წყალსაქაჩავიც, რომლის მშენებლობას დღემდე არ შესდგომიან, საქმეს არ შველის, რადგან იგი მხოლოდ საბოსტნე ფართობისათვის არის გათვალისწინებული. მეურნეობას 1.000 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი და 700 ჰექტარზე მეტი ნასვენი მიწები აქვს. ამ ფართობების დიდი ნაწილის გასარწყავება შეიძლება, თუ კი მძლავრი წყალსაქაჩავები დაიდგმება მდინარე ფოცხოვზე. ეს საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის, გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება.

**ალ. ლიპარიშვილი,**
ახალციხის რაიონის ადიგენის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

საზღვარგარეთის ცხოვრება

# ა. ა. გრომიკო თურქეთში

ანკარა, 19 მაისი. (საკდესი). [illegible]

[illegible] ...ბარი მქონდა მასთან. წინადღეს მთავრობის პარტიების ლიდერებთან ერთად ვიყავი დარბაზობაზე, რომელიც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამართა. ჩვენ ყველამ — პარტიის ლიდერებმა, იმისდა მიუხედავად, [illegible]

[illegible] ...ბოსფორზე.

სტამბოლის გუბერნატორმა ნიაზი აკიმ სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემად. იგი მიესალმა საბჭოთა სტუმარს და განაცხადა: „ჩვენი მომავლის საფუძვლად მივაჩნია ურყევი ერთგულება ქემალ ათათურქის პრინციპებისადმი, ისე როგორც საბჭოთა კავშირს თავისი მომავლის საფუძვლად მიაჩნია ურყევი ერთგულება ლენინის პრინციპებისადმი". დასასრულ გუბერნატორმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა კონტაქტები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხების დაახლოებასა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის ფართოდ განვითარებას.

[illegible] ...დაუბრუნდნენ ლენინისა და ათათურქის დროს. მოდით, თქვა მან, ახლანდელ ჩვენს ურთიერთობაში გამოვიყენოთ ის სითბო და გულითადობა, რაც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში იყო იმ დროს. ეს, განაგრძო ა. ა. გრომიკომ, სასარგებლო იქნება როგორც თურქეთის, ისე საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის. ჩვენი ურთიერთობის ასეთი განვითარება არათუ ზიანს არ მოუტანს ვინმეს, არამედ, პირიქით, სასარგებლო იქნება მთელი მსოფლიოსათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და მისი თანმხლები პირები დღეს საღამოს ანკარაში დაბრუნდნენ.

# თბილისი — განათლების წარჩინებული

მეორედ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა საქართველოს დედაქალაქს, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ახალი სასწავლო წლის მომზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამას მიეძღვნა თბილისის სკოლების, განათლების ორგანოების, საშეფო საწარმოებისა და დაწესებულებების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა საქალაქო კრება, რომელიც 19 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. სალუქვაძემ.

რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა შეკრებილთ მიულოცა საპატიო ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. მელაძეს.

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სასწავლებლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. მაღლაფერიძემ წაიკითხა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება საქართველოს განათლების სამინისტროსა და პროფსაბჭოს საპატიო სიგელებითა და ნიშნით „განათლების წარჩინებული" საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფის დაჯილდოების შესახებ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ქალაქის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში 1964-65 სასწავლო წელს თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხი ახალი სასკოლო შენობა, ექვსი საბავშვო ბაღი-ბაგა, ორი საბავშვო ბაღი, შეკეთებულია 200-ზე მეტი სასკოლო შენობა და საბავშვო დაწესებულება. საშეფო ორგანიზაციებმა დიდი დახმარება გაუწიეს განათლების მუშაკებს, კერძოდ, შეფების სახსრებით აშენებულია ორი საბავშვო ბაღი და ერთი ბაღი-ბაგა, ახალი სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. კორშიამ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის მდივანმა მ. ილაშვილმა, თბილისის პირველი მაისის რაიონის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ მ. გიორგაძემ, „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის თბილისის საწარმოო კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ხ. მიქაელიანმა თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორმა პ. ვაშაკიძემ და სხვებმა.

კრების მონაწილეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს, რომლებშიც კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს სასკოლო მშენებლობის, სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა შენობების რემონტის შემდგომი გაფართოებისათვის, 1965-66 ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის. (საქდესი).

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. კ. მაკაროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ათანასე კუზმას-ძე მაკაროვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე.

თბილისი,
1965 წლის 19 მაისი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ბ. კაჭარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და სსრკ სახელმწიფო ბანკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ამხ. ვარლამ ბესარიონის-ძე კაჭარავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე.

თბილისი,
1965 წლის 19 მაისი.

## ლ. ბ. შასტრი: ვიზიტი სასარგებლო იყო

დელი, 20 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დელის დაბრუნდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი. პალამის აეროდრომზე შასტრიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, ჩემი ვიზიტი სსრ კავშირში სასარგებლო იყო, მან ხელი შეუწყო ორი ქვეყნის შემდგომ დაახლოებას. ვიზიტის საშუალებით, თქვა მან, დავამყარეთ პირადი კონტაქტები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან, რაც ერთობ დადებითი ფაქტორია. ჩვენ მომავალშიც ვეცდებით დავიცვათ ეს კონტაქტები საბჭოთა ხელმძღვანელებთან საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. პრემიერ-მინისტრმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ინდოეთის დელეგაციას მეგობრული მიღება მოუწყვეს.

შასტრიმ დადებითად შეაფასა საბჭოთა ეკონომიური დახმარება ინდოეთის ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაში. მან აღნიშნა შემდეგ, რომ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საბჭოთა კავშირმა მიაღწია თვალსაჩინო პროგრესს, მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომის დროს. საბჭოთა ხალხის მამაცობა და სიმტკიცე, თქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა, მისაბაძი უნდა იყოს ჩვენთვის. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რას შეიძლება მივაღწიოთ, თუ დავეყრდნობით საკუთარ ძალებს უდიდეს სიძნელეთა და წინააღმდეგობათა პირობებში.

## ამერიკის თვითმფრინავები ჰანოის თავზე

ჰანოი, 20 მაისი. (საკდესი). ჰანოის ტრადიციული შუადღის მყუდროება დღეს დაარღვია საზენიტო ქვემეხების გრიალმა. დედაქალაქის საჰაერო სივრცეში მის სამხრეთით შემოიჭრნენ ამერიკის მზვერავი თვითმფრინავები. მათ მოჰყვა 12 რეაქტიული ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. ამერიკის თვითმფრინავებმა 20 კილომეტრზე ჩაუარეს ვიეტნამის დედაქალაქს.

პარიზი, 20 მაისი. (საკდესი). დღეს ამერიკის თვითმფრინავები სამჯერ დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. ამას საიგონიდან იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.



ქურთთა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მეთაური მუსტაფა ბარზანი (მარცხნივ) და მისი უახლოესი თანამებრძოლი პოლკოვნიკი ტალაბანი.

ერთი წლის წინათ ბაღდადის რადიომ გამოაცხადა, ერაყის ქურთისტანში სამხედრო მოქმედება შეწყდაო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერაყის რეაქციული წრეები ყოველნაირად უშლიან ხელს ქურთებთან ურთიერთობის ნორმალიზაციას. იმასაც კი არ ერიდებიან, რომ მოუწოდონ სამხედრო მოქმედების განახლებისაკენ. ქურთთა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობა მ. ბარზანის მეთაურობით დაჟინებით ცდილობს მიაღწიოს ქურთთა პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში.

სურათი იტალიურ ჟურნალ „ლე ორიდან".

## ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის განცხადება

ბონი, 19 მაისი. (საკდესი). ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც უარყოფს ერაყის მთავრობის მტკიცებას, რომ ქურთთა ხელმძღვანელს ბარზანის ეკისრება პასუხისმგებლობა სამხედრო მოქმედების განახლებისათვის ჩრდილოეთ ერაყში და რომ იგი ისწრაფვის შექმნას „ქურთების სეპარატისტული სახელმწიფო". ამას იუწყება ბეირუთიდან დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკ ფურტერ ალგემაინეს" კორესპონდენტი.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ერაყელი ქურთები მოითხოვენ არა სახელმწიფო დამოუკიდებლობას, არამედ მხოლოდ რეგიონალურ ავტონომიას ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში. ქურთებმა უარყვეს ბაღდადის მთავრობის წინადადებანი, ვინაიდან მან დაარღვია ნაკისრი ვალდებულებანი.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტია მოუწოდებს ერაყის მთავრობას დაიწყოს ახალი მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ შეწყდეს სამხედრო მოქმედება.

დასავლეთგერმანელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, „ქურთების მონაცემებით", ერაყის არმიის შენაერთებმა 50 ათასი კაცის ოდენობით დაიწყეს დიდი შეტევა მთის რაიონებზე, რომლებსაც კონტროლს უწევენ ბარზანის მომხრეები.

## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელზეც განიხილავენ საკითხს — ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა დომინგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა განაცხადა გუშინ, რომ გენერალ იმბერტის ხუნტა უარს ამბობს შეასრულოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ცეცხლის უპირობოდ შეწყვეტის შესახებ და კვლავ მიაქვს იერიშები უბნებზე, რომლებსაც კაამანიოს მთავრობის ძალები უწევენ კონტროლს.

უ ტანმა თქვა, გუშინწინ დამით ვთხოვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „კეთილი სამსახური გაუწიოს საქმეს, რათა უზრუნველყოს ის, რომ მოწინააღმდეგე ძალებმა შეასრულონ უშიშროების საბჭოს მოწოდება შეწყვიტონ ცეცხლი".

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ რეაქციულ ხუნტას უშუალო სამხედრო დახმარებას უწევენ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, და გამოთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მოუწოდა ვაშინგტონს „კეთილი სამსახური" გაუწიოს საქმეს და ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტას სანტო-დომინგოში. უშიშროების საბჭოს ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ის არის, რომ დაუყოვნებლივ აღკვეთოს აგრესია და განდევნოს ოკუპანტები დომინგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ედლაი სტივენსონი (ამერიკის შეერთებული შტატები) ცდილობდა საბჭოს ყურადღება ჩამოეშორებინა უ ტანის მიერ მოყვანილი ფაქტებისათვის მსჯელობით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს დომინგოს რესპუბლიკაში „არ აკისრიათ ფუნქციები" აიძულონ მხარეები შეწყვიტონ ცეცხლი.

როჟე სეიდუ (საფრანგეთი) მოითხოვა, რომ უ ტანმა მითითება მისცეს თავის პირად წარმომადგენელს სანტო-დომინგოში დაუყოვნებლივ დაზავების მისაღწევად.

იორდანიის, სპილოს ძვლის ნაპირის, ურუგვაისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები შეუერთდნენ როჟე სეიდუს წინადადებას. ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია სავსებით იზიარებს საფრანგეთის დელეგატის წუხილს იმის გამო, რომ არ წყდება სისხლისღვრა, და მხარი დაუჭირა საფრანგეთის წინადადებას როგორც გადაუდებელ ნაწილობრივ ღონისძიებას. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, რომელიც გამოცხადდა დელეგაციებს შორის კონსულტაციებისათვის, საბჭოს თავმჯდომარემ რამანიმ (მალაიზია) შეთანხმებული მოწოდებით მიმართა მხარეებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სამხედრო მოქმედება სანტო-დომინგოში. დომინგოს რესპუბლიკის კონსტიტუციური მთავრობის წარმომადგენელმა დოქტორმა ბრაჩემ ბრალად დასდო ამერიკის ხელისუფალთ, რომ ისინი ყოველმხრივ დახმარებას უწევენ კონტრრევოლუციური ხუნტის ძალებს და დომინგოელთა დახოცვის პირდაპირი თანამონაწილენი არიან.

სტივენსონი შეეცადა გადაედებინებინა უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა, მაგრამ ურუგვაის წარმომადგენლის წინადადებით, რომელსაც მხარი დაუჭირეს სპილოს ძვლის ნაპირის, სსრ კავშირისა და იორდანიის დელეგაციებმა, გადაწყდა მორიგი სხდომა მოიწვიონ 20 მაისს.

# კონგო, 1965 წელი

## 2. პირისპირ

ჟანდარმები ჩემი მუდმივი თანამგზავრები გახდნენ. მათ ზოგჯერ ემატებოდნენ სამოქალაქო ტანსაცმელ გადაცმული მაძებრები. მათთან საუბარს ვერ გაბამ! სიძნელე კიდევ ის იყო, რომ კონგოს ჟანდარმერიაში, ისევე როგორც არმიაში, ოფიციალურ ენად ითვლება ლინგალა, რომელზეც მე ათიოდე ფრაზა თუ ვიცოდი. შემდგომი გაცნობა ლინგალასთან განისაზღვრებოდა განკარგულებათა დახსომებით: ტელემა — ხდექ, ლეკა, კენდა — წადი, იარე; ტოქსი, ლიბოსო — წინ; ვანდა, ბოვანდა — დაჯექ, იჯექ; კოტალა ნა პენბენი ტე — იქით ნუ იხედები...

იქით კი ბევრი რამ არის დასანახავი: ახლაც კი, როცა პატრულებმა ჩვენი პოლიციური მანქანა გააჩერეს. ქალაქში ჩხრეკაა. ეძებენ აჯანყებულებს, რომლებსაც, როგორც ხმები დადის, დედაქალაქში შემოუღწევიათ. ჩვენი მანქანა რამდენიმე წუთში გაუშვეს, სხვა ავტომობილებში კი საბარგულებს ჩხრეკდნენ, დასაჯდომებს ფატრავდნენ. რამდენიმე დღის წინათ პოლიციის ჯაშუშებს აჯანყებულნი აღმოუჩენიათ „ფიატის" საბარგულში სტენლის ძეგლთან — მობუტუს არმიის გენერალური შტაბის შენობის გვერდით. უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები აფრიკულ უბნებსაც დაესხნენ თავს. ერთ პატარა სახლში იპოვნეს მუსანგა კლემენტინა — კონგოელ აჯანყებულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის პიერ მულელეს ცოლი. იგი მაშინვე მაკალას საპყრობილეში ჩააგდეს.

ყოველი შენობით, ყოველი ტროპიკული ხით ნაცნობი ლიპენსის ავენიუ: აქ მთავრობის ბევრი დაწესებულებაა. აი ამ სახლში მუშაობდა პატრის ლუმუმბა. აქ შეიპყრეს იგი, აქედან გაუდგა თავის უკანასკნელ გზას. შოფერმა მკვეთრად მოაბრუნა მანქანა და სიჩქარის შეუნელებლად შეიჭრა ჟანდარმებით სავსე ეზოში. მე ნენდაკას კაბინეტში წამიყვანეს.

ძველი ნაცნობია! სათვალიდან გაიელვა ავმა თვალებმა. რაღაც ბოროტად ჩაიცინა. კარგად ვიცნობ კონგოს საიდუმლო პოლიციის უფროსის ბიოგრაფიას. ლუმუმბა მას ზიზღით „ვინმე ნენდაკას" ეძახდა. სწორედ იგი იყო, კონგოს გმირს რომ აწამებდა, მისი ნერვული, აცახცახებული ხელები დაუვიწყარი პატრისის სისხლით არის მოსვრილი.

დამოუკიდებლობამდე ნენდაკა ბელგიის კომპანია „ოთრაკოში" და ინგლისურ ფირმა „სედეკში" მსახურობდა. ოდესღაც ისიც მჯდარა ლეოპოლდვილის ნდოლას საპყრობილეში, მაგრამ არა პოლიტიკური მრწამსისათვის, როგორც იგი ცდილობდა წარმოედგინა საქმე, არამედ ფულის დიდი თანხის მოპარვისათვის. [illegible] კოლონიური ელემენტებიც კი გაურბოდნენ. კოლონიური კომპანიების ყოფილი კლერკის სახელი საძულველი გახდა მთელ კონგოში. მაშინ მან სხვა რამეში მონახა თავისი დანიშნულება, დამსჯელი გახდა. იგი აუცილებლად მონაწილეობდა ყველა ორგიაში, რომლებიც ველური სისასტიკით თავზარს სცემდა მთელ კონგოს. ამჟამად გენერალ მობუტუსთან და შინაგან საქმეთა მინისტრ მუნონგოსთან ერთად ნენდაკა ხშირად მიემგზავრება „საინსპექციოდ" პროვინციებში. ეს სიტყვა ფარავს სადამსჯელო ექსპედიციების თარეშს აჯანყებულების წინააღმდეგ.

ახლა იგი ეს არის დაბრუნებულა სტენლივილიდან. იქ მისმა არამზადებმა, როგორც მნახველები ამბობენ, დახვრიტეს ქალაქის 125 მცხოვრები, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ კავშირი ჰქონდათ აჯანყებულებთან. მორიგ კორესპონდენციაში ლეოპოლდვილიდან მე სწორედ ვაპირებდი უფრო დაწვრილებით მეამბნა „იზვესტიის" მკითხველთათვის „სიურტე ნასიონალის" მეთაურის შესახებ.

და აი მის წინ ვდგავარ. ნენდაკა მიცხადებს, რომ ჩემი პასპორტი ძალაში არ არის. ხელი დასტაცა პასპორტს, მოძებნა ვიზა, რომელიც ბრიუსელში კონგოს რესპუბლიკის საელჩომ მომცა, გადახაზა იგი და დააწერა „გაუქმებულია".

— დააპატიმრეთ! სასწრაფოდ ბანაკში!

კორიდორში მიბრძანეს დავლოდებოდი. რას? თურმე თხზავდნენ დოკუმენტს, რომლის წაკითხვა შემდეგ მოვახერხე „კემპ ლუფუნგულას" უფროსის მაგიდაზე. იქ ნენდაკას მეორე თანაშემწემ მიმიყვანა. იმ დოკუმენტში ნათქვამი იყო: კონგოს დაზვერვამ მიაგნო რუს ჯაშუშს, რომელმაც კონგოს ყველა პროვინცია შემოიარა და მასალებს აგროვებდა: იგი გაზეთ „იზვესტიის" კორესპონდენტი კი არ არის, არამედ დიპლომატია, რომელიც 1963 წელს კონგოს რესპუბლიკიდან გააძევეს. ლეოპოლდვილში სხვა გვარით დაბრუნდა, არალეგალურად ცხოვრობს, სარგებლობს რადიოგადამცემით, კავშირი დაამყარა აჯანყებულებთან, აფინანსებს მათ...

ეს უაზრო მონაჭორი რომ წავიკითხე, უნებურად გამეღიმა. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, სულაც არ მეცინებოდა. მაშასადამე, ვფიქრობდი, უშიშროების სამსახურის მუშაკები გაიმეორებენ [illegible] შუბი და მოწამლული ისრები, ავტომატებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული პარაშუტისტებისა არ ეშინია. ხალხი მას ბევრ დიდ საქმეს მიაწერს. იგი ქალაქ კინდუში შეიპყრეს და ლეოპოლდვილში ჩაიყვანეს. კონგოს გაზეთები მის ფოტოსურათებს ბეჭდავდნენ. დედა ონემას შთაბეჭდილების მომხდენი შესახედაობა ჰქონდა: იგი სამხედრო ჯიპში იჯდა და ხელში შუბი ეჭირა. მკერდზე ბევრი ამულეტი ეკიდა. ხელებსა და ტანზე შემოხვეული ჰქონდა უცნაური სამკაულები თვალები მოეჭუტა. დაპატიმრებულს, იარაღაყრილსაც კი ვერ გაუბედეს ხელის ხლება. მისი ნახვის ცდუნება დიდი იყო, და წავედი, რომ ფოტოსურათი გადამეღო ამ კონგოელი შურისმაძიებელი დედისათვის. იგი აჯანყებულთა მზარდი მოძრაობის დაუშრეტელი ძალის ცოცხალი განსახიერებაა.

ასეთი „სამხილები" შეიძლება მთელ ნაკადად დაატეხოს თავს ყოველ უცხოელ კორესპონდენტს, მაგრამ ჯერჯერობით მე ჩავუვარდი ხელში „სიურტეს", და მარტო მე უნდა ვიფიქრო ამაზე. გამახსენდა ჩემი მეგობრები, რომლებთანაც ერთად დამატარებდა ბედი აფორიაქებულ კონგოში. მძიმე დრო წინათაც ყოფილა ხოლმე, მაგრამ მეტწილად მარტო არ დავრჩენილვარ. სტენლივილში მე და გიორგი ფედიაშინი, რომელიც მაშინ საკდესის კორესპონდენტად მუშაობდა, კეტელეს ჯარისკაცთა ბანაკში დაგვაკავეს და ავტომატები მოგვიშვირეს, ლაპლაპა ფოლადს შუბლზე გვაჭერდნენ. ამბოხებული ჯარისკაცები მთავრობისაგან ფულს მოითხოვდნენ, არავითარ ხელისუფლებას არ ცნობდნენ, თვითნებობას სჩადიოდნენ როგორც კონგოელების, ისე ევროპელების მიმართ, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსისა. მაშინდელი დროებითი მთავრობის ხელმძღვანელებმა, ეს ამბები რომ შეიტყეს, გადაწყვიტეს დაებეჭდათ ჩვენი პორტრეტები და ქალაქში გამოეკრათ წარწერით: „ამ საბჭოთა ადამიანებს ხელი არ ახლოთ. ჩვენი მეგობრები არიან"...

კეთილი სიტყვით გავიხსენე ჩვენი ელჩიც კონგოში სერგი ნემჩინა, რომელიც ესოდენ მტკიცედ მოქმედებდა 1963 წელს ჩემი დაპატიმრების დროს. იმავე „სიურტე ნასიონალიდან" რომ დავეხსენი, მან იქ გაგზავნა კონსული სიდელნიკოვი. იგი ნენდაკას თანაშემწის კაბინეტში შეიჭრა. სიდელნიკოვმა ჩვენი დიადი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლის მთელი ავტორიტეტით მოითხოვა ჩემი განთავისუფლება.

გამათავისუფლეს კიდევაც. კონგოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში. გაუგებრობა მოხდაო, ნენდაკას აპარატს ჯერ კიდევ გამოცდილება არა აქვსო!

ახლა, ჩემთვის უცნობ ბანაკში რომ მივდიოდი, ვრწმუნდებოდი, თუ რამდენად წასულა წინ როგორც თვით ნენდაკას, ისე მისი არამზადების „სწავლა" სადამდე უნდა იყო მისული, რომ ჩემს პასპორტსა და ვიზას რომ დახედავ, შეთხზა და გავრცელდა ვერსია, თითქოს მე ფარულად შევედი ლეოპოლდვილში და უკანონოდ ვცხოვრობდი იქ!

წინათაც ვიცოდი, რა უტიფრად ცრუობს კონგოს პრესა, რომელსაც მთლიანად კონტროლს უწევს დაზვერვა. მაგალითად, მობუტუს არმიის დამარცხება- [illegible] ში? ლეოპოლდვილში ადვილად როდი გაერკვევი, ვის რა ეკუთვნის. არის მთავრობის საპყრობილეები, პროვინციების, სამხედრო, პოლიციის საპყრობილეები, ცალკეული ტომების ბელადების კუთვნილი საპყრობილეები. საპყრობილეები ქალაქის ფარგალში და მის გარეთ. ზოგი შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარება, ზოგი — გენერალ მობუტუს, ზოგი კი ნენდაკას ხელშია. მაშ სად მივყავართ? და რათ სჭირდებათ ეს ბორკილი, ჩემთვის ზურგზე რომ მოუჭრავს გვერდით მჯდომ ჟანდარმს?

პატიმრის ქვაბში მაგდებდნენ. დოკუმენტები მაძებრებმა ჩამომართვეს: პასპორტი, კორესპონდენტის მოწმობა, საერთაშორისო მოწმობა აცრათა შესახებ, მძღოლის უფლებები. ფული ნენდაკას ხელქვეითებთან შეხვედრის პირველ წუთებშივე ამომაცალეს. პერანგიც კი არ შემაკვრევინეს და ჯიბეები ამობრუნებული დამრჩა: განძრევა არ შეიძლება. კითხვებზე არავინ პასუხს არ მაძლევდა.

საღამოს მივედით ჯიხურთან, რომელთანაც შაშხანებით შეიარაღებული ჟანდარმები იდგნენ. მათ ტანსაცმლით გამოიცნობ — ჭუჭყიანი რუხი ფერის ფორმა აქვთ, თავზე მუზარადი ხურავთ, თეთრი განიერი თასმით რევოლვერის ბუდე და რეზინის ხელკეტი ჰკიდიათ. ურუ კედლით შემოზღუდულ ეზოში შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფებია. ახლოს მოვიდნენ, რომ ნახონ: ხომ თეთრკანიანი მოიყვანეს, ეს კი არც ისე ხშირად ხდება. ოთახში შემიყვანეს და მიბრძანეს ტანთ გამეხადა.

— რა საჭიროა, ხომ უკვე გამჩხრიკეს?

— პატიმრის ნამდვილი გასინჯვა მხოლოდ ჩვენთან იწყება, — მიპასუხეს. არ დაგავიწყდეთ, თქვენ ამიერიდან იმყოფებით ლუფუნგულას ბანაკში, დიახ, „კემპ ლუფუნგულა"...

კიდევ ერთი გაჩხრეკა. მთლად გამაშიშვლეს. ოფიცრის გარშემო იდგნენ, უნდა ვიფიქროთ, ექსპერტები — ისინი დროდადრო უჩვენებდნენ, თუ რა გაესინჯათ, ხელახლა დაეთვალიერებინათ, რა გადმოებრუნებინათ ნივთებში. მიბრძანეს წინ წავსულიყავი, შემდეგ უკან დამაბრუნეს, ისევ ადგილზე გამაჩერეს. პერანგი ხუთჯერ გავიხადე და ჩავიცვი. ფეხსაცმელი განსაკუთრებით გულმოდგინედ გამოიკვლიეს. ერთმა ჟანდარმა თითებით თმა მომისინჯა: იქნებ იქაც რამე იყოს დამალულიო? არაფერი არ უნდა გამოეპაროს ნენდაკას გამჭრიახ თვალს! სავალალოც არის და სასაცილოც. მაგრამ მთავარია: შეურაცხმყოფელია თვით პროცედურა. მას თვალყურს ადევნებდა ნენდაკას იგივე თანაშემწე.

— საერთოში! — დაიძახა, ბოლოს, როცა მისი განათლებული აზრით, მე მზად ვიყავი, ე. ი. როცა საათი მომხსნეს, ფეხსაცმლიდან ზონრები ამომაცალეს, ქამარი ჩამომართვეს, შარვლის გვერდითა ჯიბეზე „ელვა" ღილი ამაწყვიტეს, კალამი და ბლოკნოტი წამართვეს. და მთლად გაუგებარი რამ: ფეხსაცმელს ქუსლები მოგლიჯეს.

ბოქლომების ბრახუნი, ლითონის ურდულების ღრჭიალი. ოფლიანმა და ცხელმა ხელებმა ბნელ საკანში შემაგდო. კარი დაიკეტა...

ნ. ხოხლოვი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 116.

## მდგომარეობა დომინგოში

ჰავანა, 19 მაისი. (საკდესი). დომინგოელ პატრიოტთა პოზიციებზე ხუთი დღის გააფთრებული იერიშების შემდეგ გენერალ იმბერტის რეაქციული ხუნტის ჯარებმა დღეს დაიკავეს რადიოსადგური სანტო-დომინგოს ჩრდილოეთ სექტორში. ეს სექტორი კონსტიტუციური მთავრობის მთავარ დასაყრდენს მოწყვეტილია კორიდორით, რომელიც მთელ ქალაქში გაიყვანეს ამერიკის საოკუპაციო ჯარებმა. როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, რადიოსადგურის ხელში ჩაგდებას წინ უძღოდა ქალაქის ჩრდილოეთ რაიონების დაბომბვა ჰაერიდან.

რადიოსადგურის დაკარგვამ ვერ გატეხა პატრიოტთა წინააღმდეგობა. სანტო-დომინგოს ჩრდილოეთ სექტორში გრძელდება ბრძოლები. კონსტიტუციური მთავრობის შეიარაღებული ჯარების მინისტრმა რამონ მონტე არაჩემ განაცხადა, პატრიოტები ინარჩუნებენო საკვანძო პოზიციებს.

ხუნტის ძალები, რომლებიც ბრძოლებში მონაწილეობენ, განუწყვეტლივ იზრდება, რადგან ბრძოლის რაიონში ამერიკელთა კონტროლს დაქვემდებარებული კორიდორით გადაჰყავთ მაშველი ჯარი.

პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ხუნტის ჯარები დაჭრილების დასახმარებლად მიმავალ სასწრაფო დახმარების მანქანებს არ უშვებენ რაიონში, რომელსაც პატრიოტები ინარჩუნებენ. როგორც დამსწრენი აცხადებენ, ჯარისკაცებმა რამდენჯერმე დაუშინეს ცეცხლი სასწრაფო დახმარების მანქანებს. უკან გააბრუნეს აგრეთვე სატვირთო მანქანები, რომლებსაც სურსათი მიჰქონდათ ქალაქის მცხოვრებლებისათვის.

ამერიკელთა საოკუპაციო სარდლობამ ჩრდილოეთ სექტორში გაგზავნა ჯარისკაცებით სავსე რამდენიმე მანქანა იმ საბაბით, რომ „უზრუნველყონ კორიდორში განლაგებული ამერიკის ჯარების უშიშროება". როგორც ამერიკის წარმომადგენელმა თქვა, საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცებს საფრთხე მოელით, რადგან კორიდორში აღწევს ბრძოლების რაიონიდან ნასროლი ტყვიები. მაგრამ სანტო-დომინგოში გამოთქვამენ აზრს, რომ ამერიკელ ჯარისკაცთა გაგზავნის ნამდვილი მიზანია დაზვერონ პატრიოტთა პოზიციები.

## თათბირი ვაშინგტონში

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, პრეზიდენტი ჯონსონი გუშინ შეხვდა თავის მრჩევლებს და განიხილა დომინგოს რესპუბლიკის მდგომარეობა. თათბირს დაესწრო სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას მანი, რომელიც სანტო-დომინგოდან დაბრუნდა. თათბირში, რომლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები საიდუმლოდ ინახება, მონაწილეობდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჰემფრი და სახელმწიფო მდივანი რასკი.

სანტო-დომინგოდან მიღებულ კომენტარში ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ვაშინგტონში დაბრუნებამდე ტომას მანი შეხვდა კონტრრევოლუციური ხუნტის ლიდერს გენერალ იმბერტს.

## ზავი — 12 საათით

ლონდონი, 19 მაისი. (საკდესი). სანტო-დომინგოში გრძელდება სამხედრო მოქმედება პოლკოვნიკ კაამანიოს კონსტიტუციური მთავრობის ძალებსა და გენერალ იმბერტის ჯარებს შორის, რომელსაც შეერთებული შტატები უჭერენ მხარს.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის სპეციალურმა წარმომადგენელმა დოქტორმა ხოსე ანტონიო მაიობრემ (ვენესუელა) სანტო-დომინგოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მოწინააღმდეგე მხარეებს ვერ დაადებინა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. როგორც მან თქვა, პოლკოვნიკმა კაამანიომ განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს დაზავების მოლაპარაკება, მაგრამ სამხედრო ხუნტის მეთაურმა გენერალმა იმბერტმა უარყო უ ტანის წინადადება დაზავების შესახებ.

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკდესი) როგორც სანტო-დომინგოდან იუწყებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელი, ცალ-ცალკე ეთათბირა ხუნტისა და კონსტიტუციური მთავრობის ხელმძღვანელებს და შემდეგ განაცხადა, რომ ორივე მხარე დათანხმდა 12 საათით შეწყვიტოს ცეცხლი, რათა წითელი ჯვრის პერსონალმა დახმარება გაუწიოს დაჭრილებს და დამარხოს დახოცილები.

## სხვადასხვა მერიდიანზე

◆ დაახლოებით ერთი კვირაა ცეცხლი ბობოქრობს ნავთობის ოთხ ჭაბურღილზე ლიბიის კირენაიკეს პროვინციაში, ცეცხლისაგან გადაარჩინეს ნავთობის ამ მდიდარი რაიონის მხოლოდ ერთი ჭაბურღილი. ხანძარი გაჩნდა აფეთქების შედეგად, რომლის მიზეზი უცნობია. ნავთობის მოპოვებას აქ ერთობლივად აწარმოებენ ინგლისის „ბრიტიშ პეტროლეუმ კომპანი" და ამერიკის კომპანია „ბანკერ ხანტი".

◆ ბაჰრეინის კუნძულების მოსახლეობა, წელს მოწყობილი აღწერის თანახმად, შეადგენს 182.203 კაცს.

◆ იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) კვლავ გაიხსნა ჩომბეს მარიონეტული რეჟიმისათვის თეთრკანიან დაქირავებულთა შეგროვების ბიურო კარი. ამჯერად აქ ჩამოვიდა კონგოს არმიის წარმომადგენელი ვინმე კაპიტანი ვაგერი. (საკდესი).

## ერთობის გზაზე

კაირო, 19 მაისი. (საკდესი). დღეს დილით კაიროს რესპუბლიკურ სასახლე ყუბაში გაიხსნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის გაერთიანებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირი. მოლაპარაკებაში მონაწილეობს ერაყის დელეგაცია პრეზიდენტ არეფის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედის რესპუბლიკის 9 მინისტრი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურობს პრეზიდენტი ნასერი. დელეგაციაში შედიან ყველა ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ სადათი, პრემიერ-მინისტრი ალი საბრი, არაბული სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელობა.

კაიროს პრესა ფართოდ განმარტავს ამ თათბირს. კერძოდ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების დროს განხილული იქნება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის დასახული გაერთიანება, „პრინციპების განმტკიცება", რომლებიც საფუძვლად დაედება ამ გაერთიანებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის გაერთიანებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, აღნიშნავს გაზეთი „ჟურნალ დ'ეგიპტი", ამ თათბირზე განიხილავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის თავდაცვის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, საგარეო პოლიტიკის პრინციპების საკითხებს, აგრეთვე ორივე ქვეყნის ეკონომიკის დაგეგმვის, ეროვნული უშიშროების, კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის საკითხებს.

როგორც ცნობილია, შარშან მაისში არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ერაყს შორის ერთობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად დაიდო შეთანხმება გაერთიანებული საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის თაობაზე. ამ საბჭოს სათავეში იქნებიან ორივე რესპუბლიკის პრეზიდენტები და გაერთიანებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ახლანდელი თათბირი ამ პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირველი ოფიციალური შეხვედრაა.



ასე გამოიყურება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი. მას ადამიანები არ ენანება, მხოლოდ საზარბაზნე ხორცად მიაჩნია ისინი.

ნახატი კუბურ გაზეთ „ოიდან".

## რაკეტა აფეთქდა

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). დღეს უაიტ-სანდსის პოლიგონზე (ნიუ-მექსიკოს შტატი) ცდიდნენ მატარებელ რაკეტას „ლიტლ ჯო-2" იმ მიზნით, რომ დაეზუსტებინათ მთვარის მიმართულებით კოსმოსური ხომალდის გაშვების სისტემა „აპოლონის" პროექტით. დღევანდელი გამოცდის დროს, კერძოდ, უნდა შეემოწმებინათ კოსმონავტთა გადარჩენის სისტემა ფრენის დაწყებით ეტაპზე უწესივრობის შემთხვევაში.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გამოცდა მარცხით დამთავრდა, რადგან მატარებელი რაკეტის მეორე საფეხური აფეთქდა სტარტის მიცემის 15 წამის შემდეგ.

## ციკლონის შედეგები

ლონდონი, 20 მაისი. (საკდესი). ყოველდღე აღმოსავლეთ პაკისტანიდან სულ ახალი ცნობები მოდის გრიგალის მეტად მძიმე შედეგების შესახებ, რომელიც მძვინვარებდა იქ 11 მაისს ღამით.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დაკიდან იუწყება, რომ აღმოსავლეთ პაკისტანის გუბერნატორმა აბდულ მონემ ხანმა განსაზღვრა ციკლონის მსხვერპლთა რიცხვი, რაც 12.033 კაცს შეადგენს. ციკლონს თან ახლდა გრიგალი და თითქმის 6 მეტრიანი მოქცევის ტალღა. მაგრამ გუბერნატორმა დასძინა, რომ ეს საბოლოო მონაცემები როდია. დაღუპულთა საერთო რიცხვი ალბათ 30 ათასს მიაღწევს, რადგან დაზარალებულ რაიონებთან კავშირის აღდგენის კვალობაზე მოდის ახალი ცნობები ნგრევისა და ადამიანთა მსხვერპლის შესახებ.

თუმცა ციკლონები, რომლებსაც ზოგჯერ თან ახლავს მოქცევის ტალღები, ყოველ წელს დაატყდება ხოლმე თავს აღმოსავლეთ პაკისტანს, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს ყველაზე ძლიერი ციკლონი იყო უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. 1942 წელს ციკლონებმა და მოქცევის ტალღებმა 20 ათასზე მეტი ადამიანი შეიწირა. 1960-61 წლებში დაიღუპა აგრეთვე 20 ათასამდე კაცი.

# [illegible]

[illegible]

— რატომ ჩოლიჩი? ვინ მილუტინ ჩოლიჩი? — გაკვირვებით შეეკითხა ივიცი.

— ეს ჩემი ნამდვილი სახელია, — განუმარტა დუნდიჩმა. — მეშინოდა, რომ ჩემს მახლობლებს დევნას დაუწყებდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ რუსებთან გადმოვედი. ჰო და ახალი სახელი დავირქვი...

ასე აეხადა ფარდა შორეულ 1919 წელს სიმონ ივიცის წინაშე მისი უშიშარი თანამემამულის, იდეური ამხანაგისა და თანამებრძოლის ოლეკო დუნდიჩის საიდუმლოებას.

ივიცი და დუნდიჩი, ორივე სერბი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, სხვადასხვა დროს გადმოვიდნენ რუსებთან, რომ გერმანელების მხარეზე არ ებრძოლნათ მოძმე სლავების წინააღმდეგ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროს ისინი წითელ არმიაში შევიდნენ. 1920 წლის დამდეგს ივიცი მოწმე იყო, დუნდიჩს წითელი დროშის ორდენი რომ გადაეცა, რამდენიმე თვის შემდეგ კი, ქალაქ როვნოსთან ოცდაშვიდი წლის დუნდიჩი დაიღუპა თეთრპოლონელებთან ბრძოლაში.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ოლეკო დუნდიჩის სახელი რუსეთში სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების — ჩაპაევის, შჩორსის, ფრუნზეს, კოტოვსკის სახელების გვერდში დგას.

მკვლევარები დუნდიჩის ცხოვრებასთან დაკავშირებულ უწვრილმანეს დეტალებს კრებენ და სისტემაში მოჰყავთ ისინი. მაგრამ დიდხანს ვერავინ ვერ მოახერხა თვალი გაედევნებინა გმირის ბიოგრაფიისათვის მის სათავემდე. მწერლებს, მეცნიერებს, ბიბლიოგრაფებს ვერა და ვერ დაედგინათ დუნდიჩის გმირის ცხოვრების იუგოსლავიის პერიოდზე რაიმე მასალის უქონლობა.

ივიცმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მუზეუმებს, მაგრამ ახალი ფაქტები ვერ მიიღო. მაშინ დამოუკიდებლად დაიწყო დუნდიჩის ნათესავებისა და მახლობლების ძებნა. მან თვითონ ოლეკოსაგან იცოდა ის, რაც ცოტა ვინმემ თუ იცოდა, — დუნდიჩის ნამდვილი სახელი. ალბათ იუგოსლავიაში არიან ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ მილუტინ ჩოლიჩი. უნდა მისწეროს მათ. მაგრამ აი უბედურება: იმ დაბის სახელი დაავიწყდა, საიდანაც დუნდიჩი იყო. დაეხმარა, როგორც ეს ხშირად ხდება, შემთხვევითი რამ. ერთხელ რომელიღაც ნაცნობმა გაჯავრებით წარმოთქვა არცთუ ძალიან კეთილხმოვანი რუსული სიტყვა — „დრინ“. და სიმონს უეცრად გაახსენდა: დრენოვცი! ასე დაასახელა დუნდიჩმა თავისი მშობლიური დაბა.

ამის შემდეგ დრენოვცში მალე მიიღეს წერილი პეტროპავლოვსკიდან. წერილი შეიცავდა თხოვნას გაეგზავნათ მილუტინ ჩოლიჩის ფოტოსურათი. მილუტინის უმცროსმა ძმამ ბლაგომირმა შეატყობინა, რომ ასეთი ფოტო არც მას და არც მის მახლობლებს არა აქვთ. მაშინ ივიცმა ბლაგომირს გაუგზავნა ორი ფოტოსურათი თავისი არქივიდან. ერთზე ოლეკო დუნდიჩი გადაღებულია პირველი ცხენოსანი არმიის მეთაურის ფორმით, მეორეზე სამოქალაქო კოსტიუმით.

მალე ბლაგომირისაგან მოვიდა წერილი. — ორივე სურათზე, — იწერებოდა იგი, — ჩემი დიდიხნის უკვალოდ დაკარგული უფროსი ძმა მილუტინ ჩოლიჩიაო.

შემდეგ იუგოსლავიის პრესაში დაიბეჭდა სენსაციური ახალი ამბავი — ოლეკო დუნდიჩის მახლობლები აღმოჩნდნენო. გაზეთებმა „ნოვოსტიმ“ და „ვეჩერნიე ნოვოსტიმ“ გამოაქვეყნეს ვრცელი მასალები მილუტინსა და მის მახლობლებზე. ერთ საგაზეთო წერილს ასეთი სათაური ჰქონდა: „ტეშნიარელმა მოხუცმა ქალმა იცნო ოლეკო დუნდიჩი“. წერილშია კლიშე: ხანში შესული ქალი, დუნდიჩის პირველი ცოლი, სინჯავს მის ფოტოსურათს. დუნდიჩში მილუტინ ჩოლიჩი შეიცნეს მისმა სიყრმის მეგობრებმაც სავა ნიკოლიჩმა, დარა ჯულოვიჩმა და სხვებმა. მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაში, რომელიც ივიცის აღმოჩენის შემდეგ გამოვიდა, პირველად არის სწორად აღნიშნული დუნდიჩის ნამდვილი სახელი და მისი დაბადების ადგილი.

მაგრამ საბჭოთა კავშირში და იუგოსლავიაშიც ყველამ როდი დაიჯერა სიმონ ივიცის გამოკვლევა და აღმოჩენა. პრესაში გამოქვეყნდა საწინააღმდეგო მოსაზრებანი. მაშინ მან გადაწყვიტა მოეძებნა თავისი სიმართლის უკანასკნელი დამადასტურებელი საბუთი და ამავე დროს უკანასკნელი ფარდა აეხადა დუნდიჩის საიდუმლოებისათვის.

ივიცმა იცოდა, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრობს ოლეკოს მეორე ცოლი — მარია სამარინა-დუნდიჩი. ბუნებრივი იყო ვარაუდი, რომ მასაც ეცოდინება დუნდიჩის ნამდვილი სახელი. ივიცმა მოძებნა მარია (ახლა იგი ბოჩაროვაა, ვინაიდან მეორე ქმრის გვარს ატარებს), ვოლგოგრადის ოლქის დაბა ილოვლიაში მცხოვრები. ივიცის წერილებზე ყოფილმა მედიცინის დამ მარიამ უპასუხა, რომ, როცა დუნდიჩი მას თავისთავსა და თავის წარსულზე უამბობდა, თავს უწოდებდა მილუტინ ჩოლიჩს.

ამრიგად ბოლომდე გამოირკვა რუსეთში სამოქალაქო ომის უშიშარი გმირის, ორი მოძმე ხალხის — საბჭოთა ხალხისა და იუგოსლაველი ხალხის — გმირის საიდუმლოება. და ახლა სიმონ ივიცს ვერაფერი ვეღარ შეუშლის ხელს იმაში, რომ დაწეროს მის შესახებ მართალი, დოკუმენტურად ზუსტი მოთხრობა. ამაში დაეხმარება მრავალი წერილი რომლებიც მიიღო იუგოსლაველი და საბჭოთა მოქალაქეებისაგან, დუნდიჩს რომ იცნობდნენ. ოლეკოს ძმამ ბლაგომირმა და ძმისწულმა ლაზარ ჩოლიჩმა ივიცს მიაწოდეს ბევრი საინტერესო დაწვრილებითი ცნობა გმირის ჭაბუკობის წლების შესახებ. მათ საეკლესიო წიგნში იპოვნეს ჩანაწერი მილუტინის დაბადების შესახებ, სადაც დადასტურებულია, რომ მისი დაბადების წელია 1893 და რომ იგი მღვდლის შვილია. ჭაბუკი მილუტინი სახლიდან წავიდა, ბელგრადში მუშაობდა რონკა გაჩევიცის ფაბრიკაში. მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, და ალბათ 1911 წელს პირველად მიიღო იატაკქვეშეთის მეტსახელი, რომელიც შემდეგში მისი მეორე სახელი გახდა, — ოლეკო დუნდიჩი.

# ვინ იყო ოლეკო დუნდიჩი?

**• დრო არქვევს სამოქალაქო ომის გმირის ნამდვილ სახელს •**

**ნ. ვაროვი.**

# პროფკავშირთა მრავალდღიანი ველორბოლა

**გუშინ** სტარტი მიეცა საქართველოს პროფკავშირთა მრავალდღიან ველორბოლას. სპორტის ეს სახეობა შეტანილია პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში და წარმოადგენს ერთ-ერთ მასობრივ ასპარეზობას.

ველომრბოლებმა უნდა გაიარონ 650-მდე კილომეტრი. ეს მანძილი გაყოფილია ხუთ ეტაპად. მონაწილეობენ: „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნის“, „სპარტაკისა“ და სხვა გუნდები. თვითეული კოლექტივის შემადგენლობაში შედის 6 სპორტსმენი.

პირველ ეტაპს წარმოადგენდა თბილისი-იგოეთი (100 კილომეტრი). დისტანციაზე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა. ფინიშთან პირველი მივიდა სასპორტო საზოგადოება „განთიადის“ წარმომადგენელი ს. გრიშკევიჩი. მან დისტანცია დაფარა 2 საათსა და 35 წუთში. მეორე ადგილიც „განთიადის“ წარმომადგენელს — ე. იანჩევსკის ხვდა. იგი გამარჯვებულს 3 წუთით ჩამორჩა. მესამე იყო „ბურევესტნიკის“ ველომრბოლი კაველაშვილი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს „განთიადის“ ველომრბოლებმა.



■ ■ ■

**სურათზე:** საქართველოს პროფკავშირთა მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი სამხედრო გზაზე მცხეთასთან. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ლიდერებია საბჭოთა ველომრბოლები

**გუშინ** შედგა მშვიდობის ველორბოლის მეთორმეტე ეტაპი. წარმატება კვლავ საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. ფინიშთან პირველი იყო ჩვენი გუნდის კაპიტანი **გ. საიდხუჟინი.** საერთო ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს **გ. ლებედევი.** გუნდურ პაექრობაშიც წინ არიან საბჭოთა ველომრბოლები.

## „ვესტ-ჰემ იუნაიტედს“ — თასი

**დამთავრდა** ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშება ფეხბურთში. ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის თასის მფლობელი „ვესტ-ჰემ იუნაიტედის“ საკლუბო გუნდი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკლუბო გუნდი „მიუნჰენ — 1860“. ინგლისელმა ფეხბურთელებმა ალმაცლობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა მარჯვენა გარემარბმა **ალან სილიმ.**

## სპორტული ქრონიკა

◆ **გუშინ** ტყიბულში გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ტურნირის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „მეშახტისა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:0.

◆ **პარიზში** მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოდის **თ. ლეიუსი.** მან დაამარცხა ინგლისის უძლიერესი ჩოგბურთელი მაიკო სანგსტერი. მორიგი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე **ა. დმიტრიევამ.**

◆ **გუშინ** კიევში გრძელდებოდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **თ. კაკულია** ნახევარფინალში გავიდა.

## ლვოვსა და ბაქოში

**გრძელდება** დასკვნითი შეხვედრების პირველი ტური წყალბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

**ლვოვის** მატჩების შედეგები ასეთია: „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 4:4, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (თბილისი) — 1:8 (0:2, 0:1, 0:2, 1:3), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 4:1.

**ბაქოს** შეხვედრები ასე დამთავრდა: კკფ — ცსკ 4:2, „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი) 1:4, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 1:2.

◆

## ისინი სამნი დარჩნენ

**ათი** წამყვანი კლუბის ფეხბურთელები შევიდნენ ბრაზილიის ნაკრების 29 კანდიდატის რიცხვში, რომელთაგან საუკეთესონი ივნისის ორი საკონტროლო მატჩის შემდეგ, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება, გაემგზავრებიან სამხრეთ აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში. მსოფლიოს ჩემპიონები სსრ კავშირშიც გამოვლენ.

კანდიდატთა რიცხვში მხოლოდ სამი ფეხბურთელი — მცველი **დ. სანტოსი** („პალმეირასი“), ფორვარდები **გარინჩა** („ბოტაფოგო“) და პელე („სანტოსი“) — მონაწილეობდა შვეციისა და ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატებში, რომლებშიც პირველობა ბრაზილიელებმა მოიპოვეს.

# ლაურეატი ვოკალისტები

**ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსი**

[illegible]

...რსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ... რაზ სოტკილავას (მეხუთე კურსი, სსრ კავშირის ს... დავით ანდღულაძის კლასი), ბაქოს მ. ახუნდოვის ... ტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს რ... იჯანის სახელმწიფო კონსერვატორიის მეხუთე კურ... ლინას.

მეორე ხარისხის დიპლომით კონკურსის ლაურეატი გახდა ერევნის კომიტასის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი ალბინა აკოფიანი.

მესამე ხარისხის დიპლომი და კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვეს ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა ელვირა უზუნიანმა და ერევნის კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტმა ოლღა გაბაევამ.

დღეს შედეგებს შეაჯამებს პიანისტთა, მევიოლინეთა და ვიოლონჩელისტთა კონკურსის ჟიური, გამოვლინდებიან ლაურეატები.

დღესვე, საღამოს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცემენ დიპლომებს, ხოლო შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსის ლაურეატთა მონაწილეობით.

# მეგობრობა თოჯინებმაც იციან

„**მოსკოვიდან**“... ასე ეწერა პაკეტს, რომელიც მღელვარებით გახსნა ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში მცხოვრებმა ოლღა მალიშევიჩმა. გაშალა ფურცელი და იქიდან გაზეთის პატარა ამონაჭერი გადმოფრიალდა. ქალმა წერილი გვერდზე გადადო და ხარბად დასწვდა ამონაჭერს გაზეთ „იზვესტიიდან“. „ყველასათვის საინტერესო“, იყო წერილის რუბრიკა.

ამ პატარა ქაღალდის ნაჭერმა ბევრი რამ უთხრა და აგრძნობინა პედაგოგსა და ბავშვების სათამაშოების კოლექციონერს. (სტატია მოგვითხრობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სათამაშოთა მუზეუმის შესახებ).

მალე ოლღას ორი პაკეტი ჰქონდა გამზადებული — ერთი მოსკოვის, ხოლო მეორე თბილისის მისამართებით. და აი ამ რამდენიმე დღის წინათ ამაღელვებელი, გულთბილი წერილი მივიღეთ მალიშევიჩისაგან, რომელსაც ამანათიც მოჰყვა — ჩვენს მუზეუმს შეემატა კიდევ ერთი ახალი უცხოური თოჯინა — ამერიკელი ინდიელი — ჩეროკი.

მუზეუმს ზრუნვას არ აკლებენ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები: მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერები.

„ჩვენ მუზეუმის მეგობრად დავრჩებით ყოველთვის, ისე როგორც ყველა მისი მნახველი“, — ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში აკადემიკოსებმა ნ. მუსხელიშვილმა, ი. ვეკუამ. აქვეა განსვენებული აკადემიკოსის ს. ჯანაშიას ჩანაწერიც. არც აკადემიკოსი ე. ხარაძე ივიწყებს ამ შესანიშნავ სამყაროს — მან გაამდიდრა ჩვენი მუზეუმის უცხოური თოჯინების კოლექცია.

აქ, ამ ტკბილ სამყაროში ცოცხლდება საქართველოს მშვენება, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ასეთი მუზეუმი კი ერთადერთია საბჭოთა კავშირში. იგი დაარსდა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული პედაგოგის თინათინ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით.

— სათამაშო სხვადასხვა აღმზრდელობით მიზნებს ემსახურება: სათამაშო ბავშვის გონივრული და ფიზიკური განვითარების საშუალებაა, სწავლის საშუალებაა, იგი წყაროა დადებითი ემოციებისა, მშვიდობის, მეგობრობის, პატრიოტული გრძნობის აღმძვრელი, — ამბობს თ. თუმანიშვილი.

განა შეიძლება მნახველის თვალს გამოეპაროს პატარა თარო, სადაც შეგროვილან ქართველი, რუსი, უკრაინელი, ზანგი და ჩინელი გოგო-ბიჭები... მათს თვალებში ხომ ბედნიერებისა და მეგობრობის სხივი კიაფობს. ან კიდევ საქართველოს ყოველი კუთხის ბეჯითი ბიჭები, „დედა-ენით“ ხელში სკოლისაკენ რომ ამაყად მიაბიჯებენ!..

ყველასათვის საყვარელი და დაუვიწყარია ცქვიტი ბიჭი „რეზო“, რომელიც გამომშვიდობებისას მხიარულად ეთხოვება სტუმარს და უსურვებს კვლავ მობრძანდნენ თოჯინების სამყაროში.

„ასეთი ბრწყინვალე თოჯინებით მე გაკვირვებული და აღტაცებული ვარ, — წერს ავსტრალიელი მხატვარი ქალი, სათამაშოების კოლექციონერი ჯეინ პულეფორდი. — როცა გავიგე, რომ ყველაფერი ეს ადგილობრივია, ეროვნულია, ამან ჩემი კიდევ უფრო დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. სულით და გულით დიდ მადლობას გიძღვნით დაუვიწყარი წუთების განცდისათვის. მე აუცილებლად მოვუთხრობ ტელევიზიით ჩვენს ბავშვებს ამ შესანიშნავი მუზეუმის შესახებ“.

წარმტაცი და მიმზიდველია კუთხე, რომელიც განკუთვნილია უცხოური სათამაშოებისათვის. აქ გამოფენილია ფრანგული, გერმანული, იაპონური, შვეიცარიული და სხვა ქვეყნების სათამაშოები: „ზანგი და თეთრკანიანი“, „მტირალი გოგონა“, „მეძეველები“, „იაპონელი გოგონები“, „მგალობელი ჩიტები“ და სხვები.

ჩვენმა ქართველმა დედოფალებმაც მოიარეს: ინდოეთი, ლათინური ამერიკა, იყვნენ ნიუ-იორკისა და ბრიუსელის გამოფენებზე.

თითქმის ტრადიციად იქცა, რომ ყოველ წელს ჩვენი თოჯინები მონაწილეობას იღებდნენ როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და უცხოეთის გამოფენებზე და არცერთი თოჯინა ისე არ დაბრუნებულა, პირველი ან მეორე ხარისხის ჯილდო არ ჩამოეტანა.

მუზეუმს მიღებული აქვს 23 პრემია: 15 საკავშირო, 8 რესპუბლიკური პრემია და ქების სიგელები.

„უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ შევხვდი დედოფალებს საქართველოს ამ შესანიშნავ დედოფალათა მუზეუმში. ეს სათამაშოები შესაძლებლობას იძლევიან წარმოვიდგინოთ ქართველი ხალხის ყოფაცხოვრება და ის გაზაფხული, რომელსაც იგი ახლა განიცდის... მუზეუმში მხოლოდ ქართული დედოფალები როდია, უცხოური დედოფალებიც არიან. სხვადასხვა ქვეყნის დედოფალების კავშირი ხელს შეუწყობს არა მარტო ქართული კულტურის შემდგომ წინსვლას, არამედ იგი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საწინდარიც იქნება. კრიშნან ჩანდრი“.

მუზეუმის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ შექმნილი სათამაშოების ზოგიერთი ნიმუში განხილული და დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათამაშოების მხატვრულ-ტექნიკური კომისიის მიერ წარმოებაში დასანერგავად.

ვინ იცის კიდევ რამდენ სიხარულს მოუტანდა ბავშვებს ესთეტიკური აღზრდის ეს შესანიშნავი კერა, რომ სიბნელეში მოქცეული დანარჩენი გულდაწყვეტილი თოჯინები ერთ პატარა ოთახში თავჩაქინდრულნი არ თვლემდნენ. ესეც უთუოდ გამოსწორდება.

**ნინო ლოლიშვილი,**
თოჯინების მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

■ ■ ■



**სურათზე:** თოჯინების მუზეუმის ერთი კუთხე.

## მოკლედ

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს ქალაქის მშრომელებმა — ფალიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა „ყოფაცხოვრების სახლი“.

აქ წარმოებს რადიომიმღებების, ტელევიზორების, მაცივრების, აგრეთვე ყველა სახის ელექტრომოწყობილობის შეკეთება. აქვე მოეწყო ფოტოატელიე, ხმის ჩამწერი სტუდია.

**ონი.** (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ ბარში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რვაწლიანი სკოლის ახალი კაპიტალური შენობა.

**ხაშური.** (ჩვენი კორ.). ბუნების დაცვისათვის ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობენ რაიონის მშრომელები. ამას წინათ ისინი მასობრივად გავიდნენ თბილის-ხაშურის გზატკეცილზე და 5 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე დარგეს.

მწვანე მასივების მოწყობაზე დაულალავად ზრუნავენ ხაშურის სატყეო მეურნეობაში.

## ეს საინტერესოა

◆

## ჰერაკლე ნიმფეიდან

**უნიკალური** ნაპოვნია! ერმიტაჟის კოლექცია შეივსო ჰერაკლეს მარმარილოს თავით, რომელიც ალბათ სულ მცირე ოცდაოთხი საუკუნის წინათ არის შექმნილი. სპეციალისტების აზრით, ქანდაკების ეს ფრაგმენტი ბერძენი ოსტატის სკოპასის ორიგინალია.

ქანდაკება აღმოაჩინეს ლენინგრადელმა არქეოლოგებმა ყირიმში ძველი ბერძნული ქალაქის ნიმფეის გათხრების დროს. ერმიტაჟის მეცნიერები უკვე მეოთხედი საუკუნეა იკვლევენ განთქმული ბოსფორის სამეფოს ამ ციხე-სიმაგრეს. მაგრამ ბერძნული მითების გმირის სკულპტურული გამოსახულება იქ პირველად არის ნაპოვნი.

## დ. რ. ლომაძე



**გარდაიცვალა** რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქსოფლმშენსახპროექტის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და მთავარი ინჟინერი, ქართველ ინჟინერ-კონსტრუქტორთა პლეადის შესანიშნავი წარმომადგენელი დავით როსტომის-ძე ლომაძე. იგი დაიბადა 1914 წელს. 1930 წელს დაამთავრა თბილისის 1 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა, ხოლო 1935 წელს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მას შემდეგ იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე დაუცხრომლად იღვწოდა როგორც ინჟინერი მშენებელი, კონსტრუქტორი, მკვლევარი, მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ხელმძღვანელი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დ. ლომაძე იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში. შემდეგ, სხვადასხვა დროს, მას უმნიშვნელოვანეს განსახკომის საპროექტოს მთავარ კონსტრუქტორად, საქსახპროექტისა და საქშახტპროექტის უფროს ინჟინრად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის მთავარ ინჟინრად. 1947 წლიდან 1964 წლამდე მისი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტთან, სადაც იგი ჯერ სწავლული მდივანი იყო, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტული დაპროექტების განყოფილებას.

მარტო ეს ნუსხაც კი მოწმობს, რომ დ. ლომაძე ათეული წლების მანძილზე ქართველ ინჟინერ-მშენებელთა პირველ რიგებში იდგა, რომ მუდამ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს უძღვებოდა.

დავით ლომაძის ნაშრომები შეეხება სამშენებლო მეცნიერების აქტუალურ საკითხებს: ბეტონების ტექნოლოგიისა და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა შესწავლას, ნაგებობათა გეგმარებისა და კონსტრუქციების პრობლემებს. მან დიდად დასაფასებელი წვლილი შეიტანა სეისმომედეგობის საკითხთა შესწავლაშიც, იმ დარგში, რომელშიც ქართველ ინჟინრებს ბევრი რამ მნიშვნელოვანი აქვთ გაკეთებული.

ამავე დროს დ. ლომაძე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ერთი საუკეთესო ინჟინერ-კონსტრუქტორთაგანი, მუდამ იყო კონსულტანტი დეფორმირებულ ნაგებობათა კვლევისა და აღდგენის დროს. მისი ღვაწლი ამითაც არ შემოფარგლულა. მას, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, განსაკუთრებით უყვარდა ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები, რომლებთა მეცნიერული დაცვა-გამაგრების საქმეს მან დაუფასებელი ამაგი დასდო.

დავით ლომაძე, თვალსაჩინო ინჟინერი, იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება და მოქალაქე, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დაგვშორდა. ის, რის გაკეთებაც მან მოასწრო, არ წაიშლება და მუდამ მადლობით იქნება მოხსენიებული. მაგრამ სამწუხაროა და გულდასაწყვეტია ის, რომ მას კიდევ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო მშობლიური კულტურისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის.

**საქართველოს სსრ სახმშენი სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი**
[illegible]

## საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

# თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე:**

**დღის განყოფილება**

სპეციალობები:

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** — ამზადებს სახელმწიფო შემოსავლის ფინანსისტებს (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).
2. **სახელმწიფო დაზღვევა** — ამზადებს სახელმწიფო დაზღვევის ფინანსისტებს (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).
3. **საბიუჯეტო აღრიცხვა** — ამზადებს საბიუჯეტო დაწესებულებათა ბუხჰალტრებს (8-წლიანი სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 3 წელი).
4. **საბუხჰალტერიო აღრიცხვა** — ამზადებს ბუხჰალტრებს სამრეწველო საწარმოებისათვის (საშუალო სკოლის ბაზა, სწავლების ვადა 1 წელი და 9 თვე).

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი და საშუალო სკოლის კურსი და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს:

ა) **პირველ კურსზე შემსვლელნი** — 8 წლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

ბ) **სპეც. ჯგუფებში შემსვლელნი** — საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ტექნიკუმში ჩარიცხვისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი; 2. ორი და მეტი წლის მუშაობის პრაქტიკული სტაჟის მქონე პირები.

დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა მოხდება **კონკურსის მიხედვით.** საკონკურსო შერჩევისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღები გამოცდების ნიშნები, ისე განათლების საბუთში ნაჩვენები ნიშნებიც.

განცხადებების მიღება წარმოებს 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. საექიმო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ. № 286), 4. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3×4, გადაღებული [illegible]

**დაუსწრებელი სწავლების განყოფილება**

მიღება წარმოებს ქართული და რუსული სექტორის I და III კურსებზე. განყოფილება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებს შემდეგი სპეციალობით:

1. **სახელმწიფო ბიუჯეტი** — ბიუჯეტის შედგენა-შესრულების და სახშემოსავლის ფინანსისტებს.
2. **საბიუჯეტო აღრიცხვა** — ბუხჰალტრებს საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის.
3. **ფულის მიმოქცევა და კრედიტი** — საკრედიტო ინსპექტორებს სახბანკის სისტემისათვის.
4. **აღრიცხვა და ოპერატ. ტექნიკა სახბანკში** — ა) ბუხჰალტრებს სახბანკის სისტემისათვის, ბ) ბუხჰალტრებს შემნახველი სალაროების სისტემისათვის.
5. **საბუხჰალტერიო აღრიცხვა** — ბუხჰალტრებს სამრეწველო საწარმოთათვის.

**სწავლების ვადა I კურსზე შემსვლელთათვის** (არასრული საშუალო სკოლის ბაზა) 4 წელია, ხოლო **III კურსზე შემსვლელთათვის** (საშუალო სკოლის ბაზა) — 2 წელი.

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ტექნიკუმში მიიღებიან ასაკის მიუხედავად ორივე სქესის პირები, რომლებიც სპეციალობის მიხედვით მუშაობენ: ა) საფინანსო და სახდაზღვევის ორგანოებში; ბ). სახბანკისა და მშენბანკის დაწესებულებებში; გ) შემნახველ სალაროებში; დ) სამრეწველო საწარმოებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში.

მისაღები გამოცდები:

**I კურსზე შემსვლელთათვის** — ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

**III კურსზე შემსვლელთათვის** — ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), ბ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

**შენიშვნა:** რუსულ სექტორზე შემსვლელები გამოცდებს ქართულის ნაცვლად აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ტექნიკუმში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. დიდი სამამულო ომის მონაწილენი; 2. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი; 3. ის პირები, რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება არჩეულ სპეციალობას.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა [illegible]

[illegible]

# დისერტაციების დაცვა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**1965 წლის 31 მაისს** დღის 12 საათზე № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. 1) ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი ალექსანდრეს-ძე მასხარაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ე. ლანსერეს ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში“.**

**31 მაისს** დღის 2 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ოლღა სერგის ასული ბაბილაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„შრომის შედეგებით დაინტერესებულობის კანონი და მისი გამოყენება კოლმეურნეობებში“.**

**31 მაისს** დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში **ანზორ ვალერიანის-ძე მჟავანაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კეთილშობილი დაფნის ვერტიცილიოზური ხმობის (verticillium albo-atrum Reinke et Berthold) შესწავლის შედეგები საქართველოში“.**

**31 მაისს** დღის 2 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ემილ მარტინის-ძე ნერსისიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზოგიერთი ამოცანა მყარი ტანის ზემოქმედების შესახებ თხევად ნახევარსივრცეზე“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

# ჩა ვნახოთ, ჩა მოვისმინოთ

## თეატრები

**21 მაისი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა მეორე კონკურსის დასკვნითი კონცერტი, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ქუთა[illegible]

[illegible]

ზაფხული — გუალტიერო მიზიანო (იტალიური სიმღერები), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კონა (№ 58 აბონ. მე-5 წარმოდგენა, საღ. 6 ს.).

## ტელევიზია

**21 მაისი**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, [illegible]

რედაქტორი
**ც. მეძმარიაშვილი.**

კომუნისტი
[illegible]
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443